

# კონფლიქტების გაშუქების მონიტორინგი

## აზერბაიჯანულენოვან, სომხურენოვან რეგიონულ და სხვა მედიებში

MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

Internews

# კონფლიქტების გაშუქების მონიტორინგი

## აზერბაიჯანულენოვან, სომხურენოვან რეგიონულ და სხვა მედიებში

MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

Internews

რედაქტორი:

თამარ კინწურაშვილი

მონაცემების დამუშავება:

თინა გოგოლაძე

მონიტორები:

საბა ტაველიშვილი
*აზერბაიჯანულენოვანი მედია*

ლუსინე პიჩიკიანი
*სომხურენოვანი მედია*

ანგარიში მომზადებულია მედიის განვითარების ფონდის მიერ „ინტერნიუსის“ მხარდაჭერით პროექტის „ხარისხიანი ჟურნალისტიკის მხარდაჭერა და ინფორმირებული სამეზობლო“ ფარგლებში.

# შესავალი

წინამდებარე კვლევა კონფლიქტების გაშუქების მედია მონიტორინგის შედეგებს ასახავს და სპეციფიკურად რეგიონული აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი პლატფორმების მონიტორინგის შედეგებს ეყრდნობა. კვლევა ასევე მოიცავს რუსულენოვან და ქართულენოვან სპეციფიკურ ფეისბუქ ანგარიშებზე კონფლიქტებთან მიმართებით გამოვლენილ თვისებრივ მონაცემებს.

კვლევის მიზანია შეისწავლოს, თუ რამდენად არის დაცული კონფლიქტების გაშუქების დროს პროფესიული სტანდარტები, ვრცელდება თუ არა ამ თემაზე დეზინფორმაცია და ხდება თუ არა სიძულვილის ენის წახალისება.

კვლევა შერეული მეთოდოლოგიით ხორციელდება და ინტერნიუსის კონფლიქტების გაშუქების შეფასების ადაპტირებულ ვერსიას იყენებს, მონიტორინგის ინსტრუმენტად კი – ფეისბუქის ანალიტიკურ ხელსაწყოს Crowdtangle.

წარმოდგენილი ანგარიში მონიტორინგის შუალედურ შედეგებს ასახავს, რომელიც 2021 წლის 1 მაისი – 15 ივნისის ჩათვლით ხორციელდებოდა.

შესავალ ნაწილში წარმოდგენილია კვლევის მეთოდოლოგია და მთავარი მიგნებები, პირველი ნაწილი ეთმობა საერთო რაოდენობრივ მონაცემებს, მეორე ნაწილი – მედია გაშუქების ხარისხის და პროფესიონალიზმის შეფასებას, მესამე – მგრძნობელობას კონფლიქტების გაშუქების მიმართ, მეოთხე – წითელი ხაზების გადაკვეთას, მეხუთე ნაწილში განხილულია მანიპულაციის ერთი კონკრეტული მაგალითი, ბოლო მეექვსე ნაწილში მოცემულია რუსულენოვანი და ქართულენოვანი ფეისბუქ პლატფორმების გზავნილები კონფლიქტებთან მიმართებით, ხოლო დანართის სახით წარმოდგენილია მონიტორინგის სუბიექტი მედიების პროფილები.

# მონიტორინგის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია, შეისწავლოს, თუ როგორ აშუქებს სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლის აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი რეგიონული მედია უახლეს რეგიონალურ კონფლიქტებს, სამშვიდობო ინიციატივებს ან ქვეყნებს შორის სადავო ტერიტორიების შესახებ მიმდინარე პროცესებს; ასევე ეთნიკურ ან რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების ცალკეულ ინციდენტებს, რომელიც ქვეყნის შიგნით სხვადასხვა ეთნიკურ ან რელიგიურ ჯგუფებს შორის მწვავე ფორმით იჩენს თავს. მონიტორინგის ფარგლებში ასევე ხდება იმის გარკვევა, თუ რა გზავნილები და დეზინფორმაცია ვრცელდება ამ თემებზე, ხდება თუ არა სიძულვილის ენის გამოყენება. გარდა აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი გამოცემებისა, რეგიონალური კონტექსტის სრულად გააზრებისთვის თვისებრივ ნაწილში დაკვირვება რუსულენოვან მედიებსა და ქართულენოვან ფეისბუქ ანგარიშებზე ხდება, რომელთა სამიზნე კონკრეტული ეთნიკური ჯგუფებია.

მონიტორინგი შერეული მეთოდოლოგიით ხორციელდება, რაც რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებზე დაკვირვებას ითვალისწინებს. რაოდენობრივ მონაცემებზე დაკვირვება აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი რეგიონული მედიის შემთხვევაში ხდება, ხოლო შერჩეული ცალკეული რუსელენოვანი მედიები და ქართულენოვანი ფეისბუქ ანგარიშები თვისებრივ ნაწილში სრული კონტექსტის გასაგებად არის გაანალიზებული.

### რაოდენობრივი მონაცემები

დაკვირვება შემდეგ თემებზე ხორციელდება:

- კონფლიქტები და მათთან დაკავშირებული სამშვიდობო ინიციატივები;
- ქვეყნებს შორის სადავო ტეროტორიები;
- ქვეყნებს შორის საზღვრის დემარკაციის საკითხები;
- შიდაეთნიკური კონფლიქტები;
- ისტორიული კონფლიქტები და სხვა თემები, რომლებიც თანამედროვე კონტექსტში სხვადასხვა ეთნიკურ, რელიგიურ ან ეროვნულ ჯგუფებს შორის კონფრონტაციას ახდენს.

აღნიშნული თემატიკის მედიაში გაშუქება მოიცავს პირდაპირ და ირიბ ცვლადებს:

**პირდაპირი გაშუქება** – როცა მედია შინაარსი (სტატია, ინფორმაცია, ტვ და რადიო სიუჟეტი) მთლიანად მონიტორინგის თემას უკავშირდება;

**ირიბი გაშუქება** – როდესაც მედია შინაარსში ირიბად არის ნახსენები დაკვირვების ქვეშ მყოფი თემატიკა და თავად მასალის მთავარი თემა სხვა საკითხია.

მონიტორინგი ასევე ეყრდნობა ინტერნიუსის კონფლიქტების გაშუქების შეფასების მეთოდოლოგიას, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ძალადობრივი კონფლიქტების გაშუქების აღწერისთვის გამოიყენება. მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულია ამ მეთოდოლოგიის 3 ინდიკატორი:

1. **ხარისხი და პროფესიონალიზმი** (სიზუსტე, ობიექტურობა / მიუკერძოებლობა, ბალანსი/სამართლიანობა, რელევანტურობა, ენა, სიცხადე, ბექრაუნდი / კონტექსტი).
2. **მგრძნობელობა კონფლიქტების გაშუქების მიმართ**
3. **წითელი ხაზების გადაკვეთა** (გაშუქებაში ძალადობრივი ვიზუალის, სიძულვილის და შეურაცხმყოფელი / დამამცირებელი ენის გამოყენება).

## თვისებრივი მონაცემები

- გზავნილების ტიპოლოგია
- სიძულვილის ენის ტიპოლოგია და სამიზნეები
- ყალბი ინფორმაციის ტიპოლოგია

## სუბიექტების შერჩევა

მონიტორინგის სუბიექტი აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი მედიები რეგიონული სპეციფიკის და კვლევების საფუძველზე შეირჩა. ჯამში დაკვირვება 24 მედია საშუალებაზე ხორციელდება, აქედან რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება 20 მედიის შემთხვევაში ხდება (10 აზერბაიჯანულენოვანი; 10 სომხურენოვანი), ხოლო თვისებრივ ნაწილში 2 – რუსულენოვანი და 2 – ქართულენოვანი ფეისბუკ გვერდია შერჩეული.

**ცხრილი 1. აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი მედიები**

| | აზერბაიჯანულენოვანი მედიები | | სომხურენოვანი მედიები |
|---|---|---|---|
| 1 | 24News.ge | 1 | Aliq Media;<br>http:/aliq.ge/ |
| 2 | Gündəlik – Gürcüstan;<br>https://www.facebook.com/gundelikgurcustan/ | 2 | Парвана Тв;<br>http://parvana.ge/ |
| 3 | Aktual.ge;<br>https://www.aktual.ge/ | 3 | Radio NOR;<br>https://nor.ge/ |
| 4 | Radio Marneuli 96.9 FM;<br>http://marneulifm.ge/ | 4 | TV9News.AM;<br>https://tv9news.ge/am/ |

| | აზერბაიჯანულენოვანი მედიები | | სომხურენოვანი მედიები |
|---|---|---|---|
| 5 | Marneuli TV;<br>http://www.marneulitv.ge/ | 5 | JavakhkNews.ge;<br>http://www.jnews.ge/ |
| 6 | Yeni Yol;<br>http://yeniyol.ge/ | 6 | Atv 12 television<br>https://www.youtube.com/channel/UCr0QsJx-P6uccU6jXpD9-seA |
| 7 | Borchalitv;<br>http://borchalitv.wordpress.com/ | 7 | News from Javahk-akhaltskha;<br>http://akhaltskha.net/ |
| 8 | Xeber.ge;<br>http://xeber.ge/ | 8 | Akhalkalaki News;<br>https://www.facebook.com/akhalkalakinews |
| 9 | Radio Bolneli<br>http://bolneli.ge/ | 9 | Javakhk Media<br>http://javakhkmedia.com/ |
| 10 | Radio Ivrisi<br>http://ivrisi.org.ge/ | 10 | Samkhretis Karibche<br>https://sknews.ge/am |

თვისებრივ ნაწილში დამატებით რუსულენოვანი და ქართულენოვანი გამოცემების შერჩევა შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობა: რუსეთის ხელისუფლების მიერ დაფუძნებული სპუტნიკის, და რეგიონალური Press Club Jeiran Media კონფლიქტების თემატიკას ხშირად აშუქებს. ქართულენოვანი გამოცემები „კავკაზ პლიუსი“ და ფეიბუკ გვერდი კავკასიური ტელეგრაფი[1] ყარაბაღის კონფლიქტის განახლების დროს არმენოფობიური შინაარსის მასალებს აზიარებდნენ და კონფლიქტების გამწვავებას ცდილობდნენ.

### ცხრილი 2. რუსულენოვანი და ქართულენოვანი პლატფორმები

| | რუსულენოვანი მედიები | | ქართულენოვანი მედიები |
|---|---|---|---|
| 1 | Sputnik Georgia | 1 | The Caucasian Telegraph |
| 2 | Press Club Jeiran Media | 2 | Kavkaz Plus |

მონიტორინგი ფეისბუქის ანალიტიკური ხელსაწყოს crowdtangle-ის საშუალებით ხორციელდება, რა დროსაც დაკვირვება შერჩეული მედიების ფეისბუქ გვერდებზე ხდება.

[1] მითების დეტექტორი, 1 დეკემბერი, 2020. Caucasian Telegraph არმენოფობიური ხასიათის დეზინფორმაციას და კონსპირაციებს აქვეყნებს https://mythdetector.ge/ka/myth/caucasian-telegraph-armenopobiuri-khasiatis-dezinpormatsias-da-konspiratsiebs-akveqnebs

# სარჩევი


| | | |
|---|---|---|
| | მთავარი მიგნებები | 9 |
| 1. | საერთო რაოდენობრივი მონაცემები | 12 |
| 2. | ხარისხი და პროფესიონალიზმი | 17 |
| 2.1. | სიზუსტე | 19 |
| 2.2. | ობიექტურობა / მიუკერძოებლობა | 21 |
| 2.3. | რელევანტურობა | 21 |
| 2.4. | შინაარსი | 22 |
| 2.5. | ბალანსი | 22 |
| 2.6. | ენა | 23 |
| 2.7. | ბექრაუნდი / კონტექსტი | 24 |
| 2.8. | სიცხადე | 24 |
| 3. | მგრძნობელობა კონფლიქტების გაშუქების მიმართ | 25 |
| 4. | წითელი ხაზების გადაკვეთა | 26 |
| 4.1 | სიძულვილის, შუღლის გამაღვივებელი ენის მაგალითები | 26 |
| 4.2 | ძალადობის შემცველი ვიზუალი | 27 |
| 5. | მანიპულაცია სამცხე-ჯავახეთში თურქული ბაზის განთავსების თემით | 30 |
| 6. | გზავნილები რუსულენოვან და ქართულენოვან ფეისბუქ პლატფორმებზე | 32 |
| 6.1 | Sputnik-georgia.ru | 32 |
| 6.2 | Pressunity.org | 33 |
| 6.3 | კავკაზ პლიუსი და The Caucasian Telegraph | 35 |
| 7. | მედია პროფილები | 37 |
| 7.1 | აზერბაიჯანულენოვანი მედია | 37 |
| 7.2 | სომხურენოვანი მედია | 41 |
| 7.3 | რუსულენოვანი მედია | 47 |
| 7.4 | ქართულენოვანი მედია | 49 |

## დიაგრამები


| | | |
|---|---|---|
| დიაგრამა 1. | სომხურენოვანი რეგიონული მედიის აქტივობა ფეისბუკზე, 1 მაისი – 15 ივნისი | 12 |
| დიაგრამა 2. | აზერბაიჯანულენოვანი რეგიონული მედიის აქტივობა ფეისბუკზე, 1 მაისი – 15 ივნისი | 13 |
| დიაგრამა 3. | კონფლიქტთან დაკავშირებული თემების პირდაპირი და ირიბი გაშუქება სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან მედიაში, 1 მაისი – 15 ივნისი | 15 |
| დიაგრამა 4. | სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან მედიაში კონფლიქტთან დაკავშირებული გაშუქების სხვადასხვა ასპექტები, 1 მაისი – 15 ივნისი | 15 |
| დიაგრამა 5. | პუბლიკაციების რაოდენობა მედიების მიხედვით | 16 |


## ცხრილები


| | | |
|---|---|---|
| ცხრილი 1. | აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი მედიები | 5 |
| ცხრილი 2. | რუსულენოვანი და ქართულენოვანი პლატფორმები | 6 |
| ცხრილი 3. | ხარისხის და პროფესიონალიზმის შეფასება | 18 |
| ცხრილი 4. | ხარისხის და პროფესიონალიზმის შეფასება აზერბაიჯანულენოვანი რეგიონული მედიების მიხედვით | 18 |
| ცხრილი 5. | ხარისხის და პროფესიონალიზმის შეფასება სომხურენოვანი რეგიონული მედიების მიხედვით | 19 |
| ცხრილი 6. | რეგიონული მედიის წყაროები | 21 |
| ცხრილი 7. | ტერმინოლოგია | 23 |

# მთავარი მიგნებები

1 მაისიდან - 15 ივნისის პერიოდში მონიტორინგის შედეგად შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

### აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი რეგიონული მედიები

- გამოქვეყნებული 11,843 პოსტიდან  კონფლიქტების თემას 176 პუბლიკაცია (86 – სომხურენოვანი მედია; 90 – აზერბაიჯანულიენოვანი) ეხებოდა, საიდანაც  მონიტორინგის თემების პირდაპირი გაშუქება 120 მასალაში, ხოლო ირიბი 56-ში გვხვდება.
- ყარაბაღის კონფლიქტის როგორც პირდაპირი (42), ასევე ირიბი (37) გაშუქება ყველაზე მაღალი სომხურენოვან რეგიონულ მედიაში იყო, მაშინ, როცა აზერბაიჯანულენოვან წყაროებში იგივე თემის როგორც პირდაპირი (20), ასევე ირიბი (13) გაშუქება შედარებით დაბალი იყო.
- აზერბაიჯანულენოვან მედიაში გაცილებით მეტი მასალა ქვემო ქართლში, კერძოდ დმანისში შიდაეთნიკურ ნიადაგზე დაწყებულ კონფლიქტს დაეთმო (51).
- სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი რეგიონული მედიის ფეისბუკ გვერდზე კონფლიქტების თემის გაშუქების ინტენსივობა განსხვავებული იყო, რაც რეგიონული მედიის მწირი რესურსებით შეიძლება აიხსნას.
- სომხურენოვანი მედიები უფრო ხშირად აშუქებდნენ ყარაბაღის კონფლიქტის თემას (სომხურენოვანი – 79; აზერბაიჯანულენოვანი – 33), ხოლო კონფლიქტში ჩართული ორივე მხარის წყაროდ მოყვანა როგორც აზერბაიჯანულენოვან, ისე სომხურენოვან მედიებში იშვიათად ხდებოდა.
- გაშუქების მხრივ ყველაზე პრობლემური საერთო მაჩვენებელი ბალანსის ინდიკატორი იყო (0.20), თუმცა, ეს მონაცემი სომხურენოვან რეგიონულ მედიაში (0.25) აზერბაიჯანულენოვანზე უკეთესია (0.14).
- ბალანსის ინდიკატორის შემდეგ ყველაზე ახლოს სტანდარტის დარღვევასთან შინაარსის მაჩვენებელია (0.41), სადაც სომხურენოვან მედიებს შუალედურზე მაღალი ქულა (0.51) აქვთ, ხოლო აზერბაიჯანულენოვანს – დაბალი (0,33).
- შუალედურ ქულაზე დაბალია ასევე ენის (44), სიზუსტისა (0.46) და ბექგრაუნდის / კონტექსტის (0.46) ინდიკატორები. ამასთანავე სამივე ინდიკატორში აზერბაიჯანულენოვან მედიას სომხურენოვანზე უკეთესი შეფასებები აქვს.

- გაშუქების საშუალო სტანდარტზე მაღალია ობიექტურობის / მიუკერძოებლობის (0.58) და რელევანტურობის (0.60) ინდიკატორები, ხოლო ყველაზე ახლოს სტანდარტის დაცვით გაშუქებასთან, ინფორმაციის სიცხადის მაჩვენებელია (0.87).
- მონიტორინგის სუბიექტი აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი მედიები სხვა გამოცემების პუბლიკაციებს აქვეყნებდნენ. ამასთანავე გამოვლენილი 50 შემთხვევიდან, პირველწყარო მხოლოდ 18 შემთხვევაში იყო მითითებული.
- ყველაზე მეტად სომხურ წყაროებს სომხურენოვანი რეგიონული მედია ეყრდნობოდა. სომხურენოვანი რეგიონული მედია წყაროდ ძირითადად სანდო ქართულ ნაციონალურ პლატფორმებს იყენებდა, მცირედი გამონაკლისების გარდა (taonews.ge, newsgeorgia.ge). ამასთანავე, სომხურენოვანი მედია გარკვეულ შემთხვევებში წყაროდ კრემლის პროპაგანდისტულ რუსულენოვან მედიებს (tass.ru, armeniasputnik.am, infoteka24.ru) ეყრდნობოდა.
- აზერბაიჯანულენოვანი რეგიონული მედია ძირითადად კრიტიკულ ქართულ ნაციონალურ არხებს (მთავარი არხი, ტვ პირველი) ეყრდნობოდა, ასევე შედარებით ნაკლებად აზერბაიჯანულ და თურქულ (TRT HABER) გამოცემებს.
- კონფლიქტების მიმართ მგრძნობელობის ინდიკატორის მაჩვენებელი საშუალოზე დაბალია (0.43), წითელი ხაზების გადაკვეთის ინდიკატორი (0.78) კი გაშუქების მაღალ სტანდატთან ახლოსაა.
- გამოვლინდა შემთხვევა, როცა საქართველოში (ჯავახეთი) თურქული ბაზის განთავსების შესახებ სომხური მედიის დაუდასტურებელი ინფორმაცია რეგიონული სომხურენოვანი მედიის ფეისბუკ გვერდზე ვრცელდებოდა, სადაც ეს პროცესი მანიპულაციურად სომხეთის წინააღმდეგ თურქეთ-აზერბაიჯანის ტანდემის ინტერესების გატარებას უკავშირდებოდა.
- რუსულ წყაროზე დაყრდნობით სომხურენოვანი რეგიონული მედიის გვერდზე ვრცელდებოდა ისეთი ექსპერტული მოსაზრება, რომელიც ქართველებსა და სომხებს შორის შუღლის გაღვივებას მეზობელი თურქეთისა და აზერბაიჯანის სპეცსამსახურებს მიაწერდა („ქართველების სომხებთან დაპირისპირების მცდელობებს უკან თურქეთის და აზერბაიჯანის სპეცსამსახურები დგანან“).

## რუსულენოვანი მედიების ფეისბუქ გვერდები

- რუსულენოვანი პრეს-კლუბ ჯეირან-მედიას გზავნილები, რომლებიც ძირითადად ექსპერტების მოსაზრების სახით იყო წარმოდგენილი და მეტწილად სათაურებშიც იყო გამოტანილი, ერთი მხრივ, ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში რუსეთის განსაკუთრებულ როლს უსვამდა ხაზს, მეორე მხრივ, თურქეთის მიკერძოებულობაზე და რეგიონში მისი გავლენის გაძლიერების პრობლემურობაზე ამახვილებდა ყურადღებას.
- თუ ჯეირან მედია ვებზე განთავსებულ ყველა მასალას ფეისბუკითაც ავრცელებდა, სპუტნიკის შემთხვევაში განსხვავებული პრაქტიკა გამოვლინდა. კერძოდ, სპუტნიკი ფეისბუკზე მეტწილად საქართველოში მიმდინარე შიდა პოლიტიკურ, სოციალურ თუ გასართობ თემატიკაზე მომზადებულ სტატიებს აზიარებდა, ვიდრე რეგიონალურ კონფლიქტებზე ან კრემლის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე მომზადებულ პუბლიკაციებს.

- სპუტნიკის რუსული ვერსიის ისეთი მასალები, რომლებიც ერთი მხრივ, კონფლიქტთან და სამხედრო მიმართებით დასავლეთის კრიტიკას შეიცავს („დასავლეთის ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური თამაშები პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს“), ხოლო მეორე მხრივ ყარაბაღის კონფლიქტში რუსეთის როლის წამოწევას ცდილობს, ფეისბუკზე არ გაზიარებულა.

## ქართულენოვანი ფეისბუქ გვერდები

- The Caucasian Telegraph-ი, რომელიც სომხების, მათ შორის სომხური დიასპორის საწინააღმდეგო ვიდეო მასალებს ადრე ხშირად აქვეყნებდა, მონიტორინგის პერიოდში ყარაბაღის კონფლიქტისა და საქართველოს კონფლიქტების თემას შედარებით ნეიტრალურად აშუქებდა. რაც შეეხება კავკაზ პლიუსს, გამოცემა არმენოფობიურ პოზიციას მონიტორინგის პერიოდშიც მკაფიოდ გამოხატავდა და სომხების როგორც სეპარატისტების წარმოჩენას ახდენდა.

# 1. საერთო რაოდენობრივი მონაცემები

**ფეისბუქ პოსტების რაოდენობა.** მონიტორინგის პერიოდში, 1 მაისი – 15 ივნისი, აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი რეგიონული მედიების ფეისუქ გვერდებზე ჯამში 11,843 პოსტი გამოქვეყნდა (სომხურენოვანი პლატფორმები – 5,382; აზერბაიჯანულენოვანი – 6 459).

როგორც დიაგრამა 1-ზე ჩანს, მონიტორინგის პერიოდში სომხურენოვან რეგიონულ მედიიდან ფეისბუკზე ყველაზე მეტი პოსტი „რადიო ნორს“ აქვს გამოქვეყნებული, რომელსაც „ფარვანა ტვ“ და Jnews მოსდევენ.

**დიაგრამა 1. სომხურენოვანი რეგიონული მედიის აქტივობა ფეისბუქზე, 1 მაისი - 15 ივნისი**




*წყარო: CrowdTangle*



ALL POSTS › COMBINED TOTAL POSTS › 05/01/21 - 06/15/21

| TOTAL POSTS | AVG. WEEKLY POSTS |
|---|---|
| 5.4K | 75 |

| NAME | TOTAL | % |
|---|---|---|
| Atv 12 televisio... | 141 | 2.62% |
| TV9News.AM | 257 | 4.77% |
| News from Javakh... | 325 | 6.04% |
| Javakhk Media | 43 | 0.80% |
| Парвана Тв | 1.3K | 24.50% |
| Akhalkalaki News | 6 | 0.11% |
| Radio NOR | 2.3K | 43.60% |
| Aliq Media | 403 | 7.49% |
| Ջավախքի լրատվակա... | 542 | 10.07% |

აზერბაიჯანულენოვანი რეგიონული მედიებიდან კი ყველაზე მეტი მასალა მარნეულის რადიოს აქვს გამოქვეყნებული, რომელსაც 24News.ge, Aktual.ge და Xeber.ge მოსდევენ.

**დიაგრამა 2. აზერბაიჯანულენოვანი რეგიონული მედიის აქტივობა ფეისბუქზე, 1 მაისი – 15 ივნისი**




*წყარო: CrowdTangle*




**თემატიკა.** მონიტორინგის პერიოდში გამოქვეყნებული 11,843 პოსტიდან კონფლიქტების თემას 176 პუბლიკაცია (86 – სომხურენოვანი მედია; 90 – აზერბაიჯანულენოვანი) ეხებოდა. აქედან მონიტორინგის თემების პირდაპირი გაშუქება 120 მასალაში, ხოლო ირიბი 56-ში გვხვდება.

როგორც დიაგრამა 3-ზე ჩანს, ყარაბაღის კონფლიქტის როგორც პირდაპირი (42), ასევე ირიბი (37) გაშუქება ყველაზე მაღალი სომხურენოვან რეგიონულ მედიაში იყო, მაშინ, როცა აზერბაიჯანულენოვან წყაროებში იგივე თემის როგორც პირდაპირი (20), ასევე ირიბი (13) გაშუქება შედარებით დაბალი იყო. აზერბაიჯანულენოვან მედიაში გაცილებით მეტი მასალა ქვემო ქართლში, კერძოდ დმანისში შიდაეთნიკურ ნიადაგზე დაწყებულ კონფლიქტს[2] დაეთმო (51).

[2] 2021 წლის 17 მაისს, დმანისში ადგილობრივ ეთნიკურად ქართველ და აზერბაიჯანელ საქართველოს მოქალაქეებს შორის მაღაზიაში ყოფით ნიადაგზე დაწყებული დაპირისპირება ფიზიკურ კონფრონტაციაში, მასობრივ არეულობასა და დაპირისპირებაში გადაიზარდა. რეგიონში მობილიზებული იყო საპოლიციო ძალები. 18 მაისს დმანისის საკრებულოში ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების და სასულიერო პირების ჩართულობით დაპირისპირებული მხარეები კონფლიქტის დასრულებაზე შეთანხმდნენ. https://civil.ge/ka/archives/420142

**დიაგრამა 3. კონფლიქტთან დაკავშირებული თემების პირდაპირი და ირიბი გაშუქება სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან მედიაში, 1 მაისი - 15 ივნისი**




კონფლიქტებთან დაკავშირებული მასალები სხვადასხვა საკითხს შეეხებოდა და ამ თემაზე მომზადებული მასალები ერთდროულად რამდენიმე ასპექტს ფარავდა. ყველაზე ხშირად სომხურენოვან რეგიონულ მედიაში ყარაბაღის კონფლიქტის შედეგად დაკავებულების, ომის ტყვეების, გარდაცვლილების და დაჭრილების საკითხები იყო გაშუქებული (64), ასევე სხვადასხვა ფორმატებში კონფლიქტების მოგვარების (59) და კონფლიქტური ზონების სადავო ტერიტორიების (32) თემები. როგორც დიაგრამა 4-ზე ჩანს, იგივე თემატიკა აზერბაიჯანულენოვან მედიაში შედარებით მწირედ იყო წარმოდგენილი, სადაც უფრო ინტენსიურად დმანისში, ეთნიკურ ნიადაგზე მომხდარი შიდა დაპირისპირება (51) შუქდებოდა. საქართველო-აზერბაიჯანის სადავო სასაზღვრო მონაკვეთზე მდებარე  დავით გარეჯის მონასტრის თემატიკა სომხურენოვან მედიაში ირიბად ორჯერ გაშუქდა, ხოლო აზერბაიჯანულენოვან მედიაში 2-ჯერ პირდაპირ, ხოლო 4 შემთხვევაში – ირიბად. აფხაზეთის კონფლიქტი, სოხმურენოვანი მედიის ფეისბუკ გვერდზე, რუსულ მედიაზე დაყრდნობით, ერთხელ, ირიბად გაშუქდა.

**დიაგრამა 4. სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან მედიაში კონფლიქტთან დაკავშირებული გაშუქების სხვადასხვა ასპექტები, 1 მაისი - 15 ივნისი**



**პუბლიკაციების რაოდენობა მედიების მიხედვით.** მონიტორინგის სუბიექტი 10 აზერბაიჯანულენოვანი რეგიონული მედიიდან დაკვირვების პერიოდში (1 მაისი-15 ივნისი) კონფლიქტების თემები 7 გამოცემაში გაშუქდა, 3 მედიაში (Yeni Yol; Radio Bolneli; Radio Ivrisi) კი ამ პერიოდში არც ქვეყნებს შორის ტერიტორიული კონფლიქტები, არც ეთნიკურ ნიადაგზე შიდა დაპირისპირება გაშუქებულა. რაც შეეხება დაკვირვების სუბიექტ 10 სომხურენოვან რეგიონულ მედია საშუალებას, საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის თემები 9 გამოცემაში გაშუქდა, ხოლო 1-ში (Akhalkalaki News) არ გაშუქებულა.

სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი რეგიონული მედიის ფეისბუკ გვერდზე კონფლიქტების თემის გაშუქების ინტენსივობა განსხვავებული იყო, რაც რეგიონული მედიის მწირი რესურსებით შეიძლება აიხსნას. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ჩანს, რომ აზერბაიჯანულენოვან მედიებში მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ხშირი გაშუქება, 24News.ge-ს (32) შემთხვევაში გვხვდება, რასაც Aktual.ge (26) და მარნეულის რადიო (13) მოსდევს. სხვა მედიებში აღნიშნულ თემატიკაზე 10-ზე ნაკლები პუბლიკაცია მომზადდა. სომხურენოვან მედიებში ყველაზე ხშირად სამონიტორინგო თემებს Parvana TV (29) აშუქებდა, რასაც Radio NOR (18), News from Javakhk-Akhaltskha.Net (14) და Aliq Media (11) მოსდევენ. სხვა მედიებში კონფლიქტების თემატიკაზე 10-ზე ნაკლები პუბლიკაცია მომზადდა.

**დიაგრამა 5. პუბლიკაციების რაოდენობა მედიების მიხედვით**



# 2. ხარისხი და პროფესიონალიზმი

**ხარისხის და პროფესიონალიზმის შეფასება.** ინტერნიუსის კონფლიქტების გაშუქების შეფასების მეთოდოლოგია ხარისხსა და პროფესიონალიზმს შემდეგი ინდიკატორების მიხედვით აფასებს: სიზუსტე, ობიექტურობა/მიუკერძოებლობა, ბალანსი/სამართლიანობა, რელევანტურობა, ენა, ბექრაუნდი/კონტექსტი, სიცხადე.

**საერთო მონაცემები.** 1 მაისიდან 15 ივნისის პერიოდის მონიტორინგმა აჩვენა, რომ ყველაზე პრობლემური საერთო მაჩვენებელი ბალანსის ინდიკატორი იყო (0.20)[3], თუმცა, ეს მონაცემი სომხურენოვან რეგიონულ მედიაში (0.25) აზერბაიჯანულენოვანზე უკეთესია (0.14).

ბალანსის ინდიკატორის შემდეგ ყველაზე ახლოს სტანდარტის დარღვევასთან შინაარსის მაჩვენებელია (0.41), სადაც სომხურენოვან მედიებს შუალედურზე მაღალი ქულა (0.51) აქვთ, ხოლო აზერბაიჯანულენოვანს – დაბალი (0,33).

შუალედურ ქულაზე დაბალია ასევე ენის (44), სიზუსტისა (0.46) და ბექგრაუნდის / კონტექსტის (0.46) ინდიკატორები. ამასთანავე სამივე ინდიკატორში აზერბაიჯანულენოვან მედიას სომხურენოვანზე უკეთესი შეფასებები აქვს, კერძოდ, შუალედურზე მაღალი ქულები: ენა (აზერბაიჯანულენოვანი – 0,51, სომხურენოვანი – 0,36); სიზუსტე (აზერბაიჯანულენოვანი – 0,65, სომხურენოვანი – 0,32); ბექგრაუნდი / კონტექსტი (აზერბაიჯანულენოვანი – 0,56, სომხურენოვანი – 0,36).

გაშუქების საშუალო სტანდარტზე მაღალია ობიექტურობის / მიუკერძოებლობის (0.58) და რელევანტურობის (0.60) ინდიკატორები, ხოლო ყველაზე ახლოს სტანდარტის დაცვით გაშუქებასთან, ინფორმაციის სიცხადის მაჩვენებელია (0.87). როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, სამივე ინდიკატორში სომხურენოვანი მედიების ქულები აზერბაიჯანულენოვანზე მაღალია.

[3] 0=სტანდარტის დარღევაა (დაბალი მაჩვენებელი), 1 სტანდარტის დაცვით (მაღალი მაჩვენებელი)

## ცხრილი 3. ხარისხის და პროფესიონალიზმის შეფასება

**ქულების მნიშვნელობა:** 0 = სტანდარტის დარღვევაა (დაბალი მაჩვენებელი), 1 სტანდარტის დაცვით (მაღალი მაჩვენებელი)

| გაშუქების ხარისხი და პროფესიონალიზმი | ერთიანი ქულა | აზერბაიჯანულენოვანი მედია | სომხურენოვანი მედია |
|---|---|---|---|
| მედია სიზუსტე | 0.46 | 0.65 | 0.32 |
| ობიექტურობა / მიუკერძოებლობა | 0.58 | 0.48 | 0.68 |
| რელევანტურობა | 0.60 | 0.54 | 0.65 |
| შინაარსი | 0.41 | 0.33 | 0.51 |
| ბალანსი | 0.20 | 0.14 | 0.25 |
| ენა | 0.44 | 0.51 | 0.36 |
| ბექგრაუნდი / კონტექსტი | 0.46 | 0.56 | 0.36 |
| სიცხადე | 0.87 | 0.80 | 0.94 |

**აზერბაიჯანულენოვანი მედია.** აზერბაიჯანულენოვანი მედიებიდან ყველაზე დაბალი მაჩვენებლი **სიზუსტის** ინდიკატორში Gundalik.ge-ს (0.14) აქვს, ყველაზე ახლოს სტანდარტის დაცვასთან კი მარნეულის რადიოა (0.85). ობიექტურობის ინდიკატორში ყველაზე დაბალი ქულა Xaber.ge-ს (0.29, ყველაზე მაღალი კი – მარნეული TV-ს (0.67) და 24News.ge-ს (0.65) აქვთ. როგორც ქვემოთმოცემული ცხრილიდან ჩანს, Borchalitv-ს, რომელსაც მონიტორინგის თემაზე მხოლოდ ერთი პუბლიკაცია ჰქონდა გამოქვეყნებული, ნულოვანი მაჩვენებელი ერთდროულად რამდენიმე ინდიკატორში აქვს, მათ შორის რელევანტურობის შეფასებაში, სადაც ყველაზე მაღალი Xaber.ge-ს (0.71) ქულაა. შინაარსის და ბალანსის თვალსაზრისით კი ყველა სუბიექტის შეფასება შუალედურ ქულაზე დაბალია. ენის ინდიკატორში ყველაზე მაღალი ქულა Borchalitv-ს (1), ყველაზე დაბალი კი Gundalik-ს (0.29) და Xaber.ge-ს (0.29) აქვთ. ბეგრაუნდის / კონტექსტის ინდიკატორში ყველაზე მაღალი ქულა მარნეულის ტელევიზიას (1) აქვს, ნულოვანი კი Borchalitv-ს და Gundalik-ს. მარნეულის ტელევიზიას სიცხადის მხრივაც ყველაზე მაღალი ქულა (1) აქვს, რასაც მცირედით 24News.ge (0.91) ჩამორჩება.

## ცხრილი 4. ხარისხის და პროფესიონალიზმის შეფასება აზერბაიჯანულენოვანი რეგიონული მედიების მიხედვით

**ქულების მნიშვნელობა:** 0 = სტანდარტის დარღვევაა (დაბალი მაჩვენებელი), 1 სტანდარტის დაცვით (მაღალი მაჩვენებელი)

| | სტატიების რაოდენობა | სიზუსტე | ობიექტურობა | რელევანტურობა | შინაარსი | ბალანსი | ენა | ბექგრაუნდი / კონტექსტი | სიცხადე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24News.ge | 32 | 0.63 | 0.65 | 0.65 | 0.31 | 0.10 | 0.44 | 0.55 | 0.91 |
| Aktual.ge | 26 | 0.69 | 0.49 | 0.42 | 0.37 | 0.17 | 0.62 | 0.59 | 0.77 |
| Marneuli FM | 13 | 0.85 | 0.56 | 0.44 | 0.38 | 0.31 | 0.54 | 0.67 | 0.77 |
| Gundalik | 7 | 0.14 | 0.48 | 0.14 | 0.29 | 0.05 | 0.29 | 0.00 | 0.43 |
| Xaber.ge | 7 | 0.57 | 0.29 | 0.71 | 0.14 | 0.14 | 0.29 | 0.71 | 0.86 |
| Marneuli TV | 4 | 0.70 | 0.67 | 0.67 | 0.50 | 0.17 | 0.83 | 1 | 1 |
| Borchalitv | 1 | 0.50 | 0.33 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |

**სომხურენოვანი მედია.** სომხურენოვან მედიებში სიზუსტის მხრივ ყველაზე დაბალი ნულოვანი ქულა Javakhk Media-ს აქვს, შუალედურზე მაღალი თითქმის თანაბარი ქულები (0.67-0.64) კი ერთდროულად რამდენიმე მედიას (TV9News.AM, სამხრეთის კარიბჭე, Atv 12, JNEWS, Aliq Media). ობიექტურობის ინდიკატორში ყველაზე მაღალი ქულა JNEWS-ს (0.78) აქვს, რომელსაც Radio NOR (0.76) მცირედით ჩამორჩება, ყველაზე დაბალი ქულა კი ამ კატეგორიაშიც Javakhk Media-ს (0.50) აქვს. რელევანტურობის ინდიკატორში ყველაზე მაღალი ქულა სამხრეთის კარიბჭეს (1) აქვს, რომელსაც Aliq Media (0.89) მოსდევს. შინაარსის მხრივ შუალედურზე მაღალი ქულა Parvana TV-ს (0.55) აქვს, სხვა მედიების ქულები კი შუალედურზე დაბალია. ბალანსის მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი TV9News.AM-ს (0.67) აქვს, ყველაზე დაბალი კი – Javakhk Media-ს (0) და News from Javakhk-Akhaltskha.Net-ს (0.10). ენის თვალსაზრისით უმაღლესი ქულები სამხრეთის კარიბჭესა (1) და Atv 12-ს (1) აქვთ, სადაც ამ თემაზე მხოლოდ თითო მასალა გამოქვეყნდა. ბექგრაუნდის/კონტექსტის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი სამხრეთის კარიბჭისა (1) და Aliq Media-ს (0.78) შემთხვევაშია, Javakhk Media-ს და ATV 12-ის შემთხვევაში კი ნულოვანი. სიცხადის ქულა ყველა მედიას მაღალი აქვს, Javakhk Media-ს (0.50) გარდა.

### ცხრილი 5. ხარისხის და პროფესიონალიზმის შეფასება სომხურენოვანი რეგიონული მედიების მიხედვით

**ქულების მნიშვნელობა:** 0=სტანდარტის დარღვევა (დაბალი მაჩვენებელი), 1 სტანდარტის დაცვით (მაღალი მაჩვენებელი)

| | სტატიების რაოდენობა | სიზუსტე | ობიექტურობა | რელევანტურობა | შინაარსი | ბალანსი | ენა | ბექგრაუნდი / კონტექსტი | სიცხადე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24News.ge | 32 | 0.63 | 0.65 | 0.65 | 0.31 | 0.1 | 0.44 | 0.55 | 0.91 |
| Parvana TV | 29 | 0.14 | 0.62 | 0.64 | 0.55 | 0.18 | 0.34 | 0.34 | 0.93 |
| Radio NOR | 18 | 0.22 | 0.76 | 0.65 | 0.50 | 0.28 | 0.50 | 0.41 | 0.90 |
| News from Javakhk-Akhaltskha. Net | 14 | 0.14 | 0.67 | 0.60 | 0.50 | 0.10 | 0.43 | 0.21 | 0.93 |
| Aliq Media | 11 | 0.64 | 0.67 | 0.89 | 0.5 | 0.33 | 0 | 0.78 | 1 |
| JNEWS | 6 | 0.66 | 0.78 | 0.61 | 0.5 | 0.39 | 0.17 | 0.17 | 1 |
| TV9News.AM | 3 | 0.67 | 0.67 | 0.44 | 0.33 | 0.67 | 0 | 0.11 | 1 |
| Javakhk Media | 2 | 0 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0 | 0 | 0 | 0.50 |
| სამხრეთის კარიბჭე | 1 | 0.67 | 0.67 | 1 | 0.50 | 0.33 | 1 | 1 | 1 |
| Atv 12 | 1 | 0.67 | 0.67 | 0.33 | 0.50 | 0.33 | 1 | 0 | 1 |

## 2.1. სიზუსტე

**სიზუსტის ინდიკატორი** ინფორმაციის წყაროების სანდოობით, მათი რაოდენობით, დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელების და მნიშვნელოვანი წყაროების გამოტოვების საფუძველზე ფასდება.

**შეფასება:** 0 = დაბალი მაჩვენებელი, 1 = მაღალი მაჩვენებელი.

**ქულა:** 0.46

აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან რეგიონულ მედიებში გაშუქებული 176 მასალიდან, 95-ში სიზუსტის ერთი ან რამდენიმე ინდიკატორის უგულებელყოფა სხვადასხვა სახით გვხვდება:

- ყველაზე მაღალი იყო (89.4%) მნიშვნელოვანი წყაროების გამოტოვების შემთხვევები. კონფლიქტის თემების გაშუქებისას, მედიები ძირითადად ცალმხრივად, ერთ წყაროს, სომხეთის ან აზერბაიჯანის ოფიციალური უწყებების პოზიციას ეყრდნობოდნენ.
- დაუზუსტებელი მასალების 15.7% კი ზოგად (მაგალითად, არსებული ინფორმაციით, მოსახლეობის ინფორმაციით. ა.შ) ან ანონიმურ წყაროებს ეყრდნობოდა;
- რიგ შემთხვევაში (12.6%) თავად წყაროების კომპეტენციის და სანდოობის პრობლემა გამოიკვეთა;
- ზოგ შემთხვევაში (8.4%) ინფორმაციის წყარო წარმოდგენილი საერთოდ არ ყოფილა;
- დაუზუსტებელი გაშუქების მხრივ, ყველაზე დიდ პრობლემას, გამოქვეყნებულ მასალებში ერთი ან მეტი მხარის პოზიციის გამოტოვება (72%) წარმოადგენდა, ხოლო მსგავსს გაშუქებაში ჟურნალისტის მცდელობა, კომენტარი მეორე მხარისგან მიეღო, მხოლოდ 5.7% ჩანს. საპირისპირო მხარეების გაშუქება მხოლოდ მასალების 12.5%-ში არის წარმოდგენილი.

სომხურენოვან მედიებში (0.32) სიზუსტის ინდიკატორი აზერბაიჯანულენოვანზე (0.65) პრობლემური მნიშვნელოვანი წყაროების გამოტოვების გამო იყო. სომხურენოვანი მედიის 85 მასალიდან წყაროების პრობლემა 58-ში გამოვლინდა, მაშინ, როცა აზერბაიჯანულენოვანი მედიების 90 სტატიიდან წყაროები 31-შია გამოტოვებული, რაც ნაწილობრივ იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ სომხურენოვანი მედიები ყარაბაღის კონფლიქტის თემას უფრო ხშირად აშუქებდნენ (სომხურენოვანი – 79; აზერბაიჯანულენოვანი – 33), ხოლო კონფლიქტში ჩართული ორივე მხარის წყაროდ მოყვანა როგორც აზერბაიჯანულენოვან, ისე სომხურენოვან მედიებში იშვიათად ხდებოდა.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ სიზუსტის სხვა ქვეინდიკატორებში სომხურენოვან მედიას უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა, ხოლო აზერბაიჯანულენოვან მედიებში მაღალი იყო ისეთი მაჩვენებლის დარღვევები, როგორიცაა არასანდო წყაროების გამოყენება (38.7%), სადავო ინფორმაციის არასათანადოდ გამოყენება (35.4%) და დაუზუსტებელი ინფორმაციის (6.5%) გაშუქება.

**სხვა მედია წყაროები.** რეგიონული მედიის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხშირად მონიტორინგის სუბიექტი აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი მედიები სხვა გამოცემების პუბლიკაციებს აქვეყნებდნენ. ამასთანავე გამოვლენილი 50 შემთხვევიდან, პირველწყარო მხოლოდ 18 შემთხვევაში იყო მითითებული. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის სუბიექტი გამოცემები, ნაწილობრივ ან სრულად ახდენდნენ სხვა მედიების მიერ გამოქვეყნებული მასალების კოპირებას.

როგორც ქვემოთმოცემულ ცხრილში ჩანს, ყველაზე მეტად სომხურ წყაროებს სომხურენოვანი რეგიონული მედია ეყრდნობოდა. სომხურენოვანი რეგიონული მედია წყაროდ ძირითადად სანდო ქართულ ნაციონალურ პლატფორმებს იყენებდა, მცირედი გამონაკლისების გარდა (taonews.ge, newsgeorgia.ge). ამასთანავე, სომხურენოვანი მედია გარკვეულ შემთხვევებში წყაროდ კრემლის პროპაგანდისტულ რუსულენოვან მედიებს (tass.ru, armeniasputnik.am, infoteka24.ru) ეყრდნობოდა.

აზერბაიჯანულენოვანი რეგიონული მედია ძირითადად კრიტიკულ ქართულ ნაციონალურ არხებს (მთავარი არხი, ტვ პირველი) ეყრდნობოდა, ასევე შედარებით ნაკლებად აზერბაიჯანულ და თურქულ (TRT HABER) გამოცემებს.

**ცხრილი 6. რეგიონული მედიის წყაროები**

| აზერბაიჯანულენოვანი რეგიონული მედია | | | სომხურენოვანი რეგიონული მედია | | |
|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული დაფარვის ქართული მედია | აზერბაიჯანული მედია | თურქული მედია | რუსული მედია | ეროვნული დაფარვის ქართული მედია | სომხური მედია |
| Mtavari Arkhi | AZTV | TRT HABER | tass.ru | 1tv.ge | armenpress.am |
| TV Pirveli | report.az | | armeniasputnik.am | jam-news.net/ | hetq.am |
| | oxu24.com | | infoteka24.ru | interpressnews.ge | tert.am |
| | | | | netgazeti.ge | armnews |
| | | | | taonews.ge | shantnews.am |
| | | | | newsgeorgia.ge | civilnet.am<br>shantnews.am<br>Yerevan Times<br>news.am<br>hayeli.am |

## 2.2. ობიექტურობა / მიუკერძოებლობა

**ობიექტურობის ინდიკატორი** მედიის მიერ გავცელებულ ინფორმაციაში სხვადასხვა მხარეების, ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციების გაშუქების, გაშუქებული მოსაზრებების წყაროების მითითების და ჟურნალისტის ან რედაქციის საკითხისადმი ნეიტრალურ დამოკიდებულებას აფასებს.

**შეფასება:** 0 = არაობიექტური გაშუქება; 1 = ობიექტური.

**ქულა:** 0.58

ობიექტური/მიუკერძოებელი გაშუქების ინდიკატორში სტანდარტთან ყველაზე ახლოს (85.7%) მოყვანილი მოსაზრებებისა და პოზიციების წყაროების იდენტიფიცირება/რეფერირებაა, რასაც ჟურნალისტების და რედაქციების მხრიდან მოვლენების ნეიტრალური გადმოცემა (76%) მოსდევს. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ობიექტური/მიუკერძოებელი გაშუქების ინდიკატორში ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების მოყვანასა და რამდენიმე მხარის პოზიციის გაშუქებაზე მოდის (11.4%).

გაშუქებისას საპირისპირო პოზიციები გაცილებით მეტად იყო წარმოდგენილი სომხურენოვან მედიებში (17.6%), ვიდრე აზერბაიჯანულენოვანში (5.5%); გასაშუქებელი მოვლენის მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულება ასევე გაცილებით მაღალი იყო სომხურენოვან მედიაში (89.4%), ვიდრე აზერბაიჯანულენოვანში (63,3%).

## 2.3. რელევანტურობა

**რელევანტურობის ინდიკატორი** სამიზნე აუდიტორიასთან მიმართებით თემის რელევანტურობას აფასებს.

**შეფასება:** 0 = არარეველანტური; 1 = რელევანტური

**ქულა:** 0.60

მიუხედავად იმისა, რომ გამოქვეყნებული მასალების თემების უმრავლესობა ადგილობრივ სამიზნე აუდიტორიასთან მიმართებით რელევანტური იყო, ხშირად სტატიებში არ იყო განმარტებული, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ამა თუ იმ მოვლენამ მათზე.

## 2.4. შინაარსი

**შინაარსის ინდიკატორი** აფასებს, თუ რამდენადაა ინფორმაციაში წარმოდგენილი ოფიციალური პირების და ასევე მათი პოზიცია, ვისაც გადმოცემული ამბავი უშუალოდ ეხება.

**შეფასება:** 0 = გაშუქების დაბალი სტანდარტი; 1 = მაღალი სტანდარტი.

**ქულა:** 0.41

შინაარსის ინდიკატორი საშუალოზე დაბალია (0.41). გაშუქების დროს მედია ძირითადად სახელისუფლებო და ოფიციალური პირების პოზიციებს ეყრდნობოდა (68%) და ნაკლებად წარმოაჩენდა იმ ადამიანებს, ვისზეც ახალი ამბავი უშუალოდ ახდენდა გავლენას (14.8%), რაც ნაწილობრივ რეგიონული მედიის შეზღუდული რესურსითაც შეიძლება იყოს განპირობებული.

სომხურენოვან მედიებში სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე მომხდარი ინციდენტების გაშუქებისას, კერძოდ აზერბაიჯანელ მესაზღვრეთა და ადგილობრივ მწყემსებს შორის[4] საძოვრებთან დაკავშირებით დაპირისპირების და სომეხი სამხედრო მოსამსახურეების ტყვედ აყვანის[5], გათავისუფლებისა და სამშობლოში დაბრუნების ისტორიებში მეტწილად ოფიციალური პირების პოზიციები იყო წარმოდგენილი. აზერბაიჯანულენოვან მედიაში კი იმ პირთა რეპრეზენტაცია, ვისზეც გავლენას ახდენს ახალი ამბავი, უმეტესწილად დმანისში მომხდარი დაპირსიპირების გაშუქებისას ხდებოდა.[6]

## 2.5. ბალანსი

**ბალანსის ინდიკატორი** აფასებს, თუ რამდენად თანაზომადად არის მასალაში სხვადასხვა პოზიციები წარმოდგენილი, გამოტოვებულია თუ არა რომელიმე მხარის პოზიცია.

**შეფასება:** 0 = არ არის დაბალანსებული, 1 = დაბალანსებულია.

**ქულა:** 0.20

ბალანსის ინდიკატორი (0.20) ყველაზე დაბალია. მასალებში იშვიათად გვხდება საპირისპირო პოზიციები, განსაკუთრებით ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებული თემების შემთხვევაში. ცალკეულ სტატიებსა თუ სიუჟეტებში საპირისპირო პოზიციების ჩვენება მხოლოდ კონფლიქტში მონაწილე მხარეების განცხადების უარყოფის მიზნით გვხვდება. მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში გამოვლინდა ჟურნალისტის მცდელობა, მიეღო კომენტარი ან დაეფიქსირებინა მეორე მხარის პოზიცია.

დაბალანსებული გაშუქების მხრივ, ყველაზე დიდ პრობლემას მასალებში ერთი ან მეტი მხარის პოზიციის გამოტოვება (72%) წარმოადგენდა, ხოლო საპირიპირო მხარეები მასალების მხოლოდ

4 6 ივნისი, JNEWS – „სოფელ კუთში აზერბაიჯანელებმა მწყემსის მიმართულებით ცეცხლი გახსნეს" https://bit.ly/3iuS7lY

5 9 ივნისი, Radio Nor, „აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვარზე დააკავეს და მოგვიანებით გაანთნავისუფლეს სომეხი სამხედრო მოსამსახურე" https://nor.ge/?p=177732

6 17 მაისი, Aktual.ge, „დმანისის ბაზარში მომუშავე ქალის გულისამაჩუყებელი სიტყვები – ეს, აზერბაიჯანელების წინააღმდეგ განხორციელებული, თავდასხმა პირველი არ არის" https://aktual.ge/Read/11338

12.5%-ში არის წარმოდგენილი. იმ მასალებში, სადაც ერთი ან მეტი მხარის პოზიციაა გამოტოვებული, ჟურნალისტის მცდელობა, მიეღო კომენტარი საპირისპირო პოზიციის მქონე რესპონდენტისგან, მხოლოდ მცირე შემთხვევებში (5.7%) ჩანს.

ჟურნალისტების მცდელობა, საპირიპირო პოზიციის მქონე რესპონდენტის კომენტარი მიეღოთ, სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან მედიებში თითქმის ერთნაირია, ხოლო, საპირისპირო პოზიციების გამოტოვება სომხურენოვან მედიაში უფრო მაღალია (78.8%), ვიდრე აზერბაიჯანულენოვანში (65.5%).

## 2.6. ენა

**ენის ინდიკატორი** აფასებს, ხდება თუ არა შეურაცხმყოფელი, წამაქეზებელი ლექსიკის, სიძულვიის ენის, ქსენოფობიის, ორმაგი დატვირთვის მქონე ან ემოციური სიტყვების გამოყენება.

**შეფასება:** 0 = გამოყენებული ენა პრობლემურია, 1 = არ არის პრობლემური

**ქულა:** 0.44

ჟურნალისტების მიერ წამაქეზებელი და სიძულვილის გამღვივებელი ენის გამოყენება გაშუქების 20%-ში გვხვდება.

ემოციურად დატვირთული სიტყვებიდან ყველაზე ხშირად გვხვდება სიტყვა „გათავისუფლებული“, რომელსაც სომხურენოვანი მედიების ჟურნალისტები სომეხი სამხედრო მოსამსახურეების მიმართ, ხოლო აზერბაიჯანულენოვანი მედიები კი აზერბაიჯანის მიერ ტერიტორიების გათავისუფლების[7] კონტექსტში იყენებდნენ. შედარებით ნაკლები იყო გაშუქებაში ისეთი სიტყვების გამოყენება, როგორიცაა მსხვერპლი, გმირი, ტანჯული, წამებული, მტერი, ოკუპანტი, ტერორისტი, ექსტრემისტი.

**ცხრილი 7. ტერმინოლოგია**

| აზერბაიჯანულენოვანი მედია | სომხურენოვანი მედია |
|---|---|
| განთავისუფლებული – 8 | განთავისუფლებული – 17 |
| ტანჯული, წამებული – 6 | მსხვერპლი – 7 |
| ოკუპანტი – 5 | გმირი – 4 |
| მტერი – 3 | ოკუპანტი – 4 |
| გმირი – 2 | ტანჯული, წამებული – 4 |
| ტერორისტი – 1 | ტერორისტი – 2 |
| | ექსტრემისტი – 1 |

7 24news https://bit.ly/3ijMS8s

## 2.7. ბექგრაუნდი / კონტექსტი

**ბექგრაუნდის / კონტექსტის ინდიკატორი** აფასებს, თუ რამდენად არის მასალაში საკმარისი ფონური და ისტორიული მონაცემები იმისთვის, რომ აუდიტორიამ ამბის არსი სრულად გაიგოს; ტოვებს თუ არა მასალა პასუხგაუცემელ კითხვებს.

**შეფასება:** 0 = არ არის წარმოდგენილი ბექგრაუნდ ინფორმაცია, 1 = წარმოდგენილია.

**ქულა:** 0.46

სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან რეგიონულ მედიებში გაშუქებისას ნაკლებად იყო წარმოდგენილი ბექგრაუნდი, რომელიც მიმდინარე მოვლენების კონტექსტს აუდიტორიისთვის გასაგებს გახდიდა. გამოქვეყნებული მასალებიდან პასუხგაუცემელი კითხვები ჯამში 84 მასალაში იყო.

## 2.8. სიცხადე

**სიცხადის ინდიკატორი** აფასებს, თუ რამდენად მარტივად და გასაგები ენით არის მოწოდებული ინფორმაცია.

**შეფასება:** 0 = მასალაში არ არის სიცხადე; 1 = არის სიცხადე.

**ქულა:** 0.87

სიცხადის მაჩვენებელი (0.87), რაც მასალების მკითხველისთვის მარტივი და გასაგები ენით მიწოდებას ითვალისწინებს, მაღალია. სომხურენოვანი მედია სტანდარტის დაცვით გაშუქებასთან (0.94) უფრო ახლოსაა, ვიდრე აზერბაიჯანულენოვანი (0.80).

# 3. მგრძნობელობა კონფლიქტების გაშუქების მიმართ

**კონფლიქტის გაშუქების მგრძნობელობის ინდიკატორი** აფასებს, თუ რამდენად არიდებს ჟურნალისტი გაშუქების დროს შეურაცხმყოფელ / გამაღიზიანებელ ძალადობის შემცველ ვიზუალის და აუდიო მასალის გამოყენებას თავს, რამდენად ნეიტრალურია ჟურნალისტის ტონი, არ არის გამოყენებული შეურაცხმყოფელი, სიძულვილის ენა და რამდენად მიუკერძოებელია ჟურნალისტი კონფლიქტის რომელიმე მხარის მიმართ.

**შეფასება:** 0 = დაბალი მგრძნობელობა; 1 = მაღალი მგრძნობელობა.

**ქულა:** 0.43

ამ ინდიკატორის მაჩვენებელი საშუალოზე დაბალია (0.43). მედია საშუალებები მეტწილად (92%) თავს არიდებდნენ გამაღიზიანებელი და ძალადობის შემცველი ვიზუალის, ასევე შეურაცხმყოფელი, შუღლის გამაღვივებელი ენის (80.5%) გამოყენებას, ასევე უმეტესად (73.7%) იყენებდნენ ნეიტრალურ ტონს, ხოლო მასალების 54.2%-ში თავს არიდებდნენ კონფლიქტის მონაწილე ერთი მხარის მხარდაჭერას, გამოქვეყნებული მასალებიდან ეს სტანდარტი 76-ში დარღვეული იყო. კონფლიქტის გაშუქების სენსიტიურობის დონე სტატიების 43.4%-ში დამაკმაყოფილებელია.

სხვაობა სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან მედიებში ჟურნალისტის ან რედაქციის მხრიდან კონფლიქტის რომელიმე მხარის მიმართ მიკერძოების მხრივ მცირეა. კონფლიქტის რომელიმე მხარის მიმართ აზერბაიჯანულენოვანი მედიების პუბლიკაციების 32.2%-ია მიკერძოებული, მაშინ, როცა სომხურნეოვან რეგიონულ მედიაში ეს მაჩვენებელი 40%-ს შეადგენს.

# 4. წითელი ხაზების გადაკვეთა

**წითელი ხაზების გადაკვეთის ინდიკატორი** აფასებს, ხდება თუ არა მასალაში ძალადობრივი ვიზუალის ან აუდიოს, სიძულვილის ენის გამოყენება, ინდივიდის, ჯგუფის დამცირება, ცილისწამება, ხდება თუ არა ტერორისტული ჯგუფის მხარდამჭერი ან ქალების საწინააღმდეგო გაშუქება.

**შეფასება:** 0 = წითელი ხაზები გადაკვეთილია, 1 = წითელი ხაზების გადაკვეთა არ ხდება.

**ქულა:** 0.78

აზერბაჯანულენოვანი და სომხურენოვანი რეგიონული მედიების წითელი ხაზების გადაკვეთის ინდიკატორი (0.78) გაშუქების მაღალ სტანდარტთან ახლოსაა. მონიტორინგის პერიოდში ძალადობრივი ვიზუალის გამოქვეყნების შემთხვევა 16-ჯერ დაფიქსირდა, ხოლო ემოციურად დატვირთული ან წამაქეზებელი ენის გამოყენების შემთხვევა — 26-ჯერ. გაშუქებისას სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები ცოტა იყო.

ძალადობრივი ვიზუალის გამოყენების შემთხვევები აზერბაიჯანულენოვან მედიაში (გაშუქების 14.4%) სომხურენოვან გამოცემებზე (5.8%) მაღალი იყო.

## 4.1 სიძულვილის, შუღლის გამაღვივებელი ენის მაგალითები

3 ივნისს სომხურენოვანმა Javakh Media-მ[8] საკუთარ ფეისბუქ გვერდზე Yerevan Times[9]-ის სტატია გადააზიარა, რომელიც მარნეულის რაიონში სოფელ ქესალოში საქართველოს მოქალაქე ეთნიკურ აზერბაიჯანელებსა და მარნეულისა და ხუჯაბის ეპისკოპოსს შორის სასოფლო-სამეურნეო მიწასთან დაკავშირებულ დაპირისპირებას ასახავს. ამავე მასალაში გამოყენებულია „ტაონიუსის" ვიდეო, რომელშიც გამოცემის ხელმძღვანელი ნიკოლოზ მჟავანაძე აზერბაიჯანელებს ექსტრემისტებად მოიხსენიებს და მათ ქართველთა შევიწროვებაში სდებს ბრალს:

8 Javakh Media, 3 ივნისი, https://bit.ly/3jfDwJV
9 Yerevan Times, 31 მაისი, Վրաստանի Գարդաբանի շրջանում ապրող ադրբեջանցիները արգելել են տեղի վրացի եպիսկոպոսին մշակել տաճարի հողերը հայտարարելով «այս հողերը ադրբեջանական են» . (տեսանյութ) https://bit.ly/37eg5Lw

> **ნიკოლოზ მჟავანაძე, ტაო-ნიუსი:** **„ქართველთა შევიწროვების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ის, რომ მარნეულისა და ხუჯაბის ეპისკოპოსს მეუფე გიორგის საშუალება არ მისცეს ეკლესიის ბალანსზე არსებული მიწები დაემუშავებინა. აზერბაიჯანელ ექსტრემისტთა ჯგუფის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელმაც საშუალება არ მისცა მეუფე გიორგის მიწები დაემუშავებინა, ისიც კი უთხრა, რომ ეს მიწები მამაპათაგან მათია და რომ აქ ქართველებს არაფერი არ ესაქმებათ“.**

სომხურენოვანმა Nor FM-მა გამოაქვეყნა სტატია „აზერბაიჯანელებმა შუშის წმინდა მაცხოვრის ღაზანჩეცოცის ეკლესიის გუმბათები მოხსნეს“,[10] სადაც აზერბაიჯანის კონტროლირებად ქალაქ შუშაში ეკლესიის გუმბათების მოხსნას, არფაკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი შემდეგი ტექსტით ეხმაურება:

> **ჰუნან ტადოსიანი, რფაკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:** **„თქვენი უბედურება თქვენს ტვინშია, თქვენი უბედურება თურქებისადმი მორჩილებასა და უძლურობაშია. თქვენ ვერ გაიგეთ ჩვენი სულის ტკივილი“.**

დმანისში მომხდარი დაპირისპირების გაშუქებისას, აზერბაიჯანულენოვანმა 24news.ge[11]-მ მიმდინარე მოვლენებზე პოლიტიკოს ალბაბა ასგაროვის შეფასება უკომენტაროდ გამოაქვეყნა, რომელიც სვანების რეგიონში ჩასახლებასა და ადგილობრივებთან (ეთნიკურ აზერბაიჯანელებთან) მათ მენტალურ შეუსაბამობაზე საუბრობდა:

> **ალბაბა ასგაროვი, პოლიტიკოსი:** **„სვანები რეგიონში ადრეული 1980-იანებში გადმოსახლდნენ, მიუხედავად იმისა, რომ 30 წელზე მეტი გავიდა, მათ ვერ შესძლეს ამ რეგიონის ხალხის მენტალიტეტი და ტრადიციები მიეღოთ. სვანები დიდი ხნის განმავლობაში იწვევდნენ აზერბაიჯანელებს და ამას პრევენციას არავინ უკეთებს. ყველაფრის მიუხედავად, ჩვენც ადამიანები ვართ. ჩვენ არ გვინდოდა დაპირისპირება, მაგრამ წინა დღის მოვლენები ბოლო წვეთი იყო“.**

## 4.2 ძალადობის შემცველი ვიზუალი

20 მაისს ფარვანა ტვ-მ სომხეთის თავდაცვის სამინისტროს ვიდეო უწყების განცხადებასთან ერთად გამოაქვეყნა[12], როგორც აზერბაიჯანელი სამხედროების მიერ სომეხი სამხედროების ცემის და დამცირების ილუსტრირება. ვიდეო ფეისბუკზე სენსიტიური კადრების აღმნიშვნელი ნიშნით გავრცელდა.

---

[10] Nor FM, 3 მაისი, Ադրբեջանցիները հանել են Շուշիի Ղազանչեցոց եկեղեցու գմբեթները, https://bit.ly/3lrVeg6
[11] 24news.ge, 19 მაისი, "Əlibala Əsgərov: "Gürcüstan hakimiyyəti Dmanisidə problemi kökündən həll etmədi", https://bit.ly/3fpJiYk
[12] ფარვანა ტვ, 20 მაისი https://m.facebook.com/160489504517632/posts/912243392675569



Парвана Тв

The video with the participation of Armenian and Azerbaijani soldiers was made on May 17 in the eastern part of the Armenian-Azerbaijani border: Ministry of Defense of Armenia

The Ministry of Defense of the Republic of Armenia reports that the video study of Armenian and Azerbaijani soldiers spread by Azerbaijani users of social networks revealed that the incident actually happened on May 2021. 17 in the eastern part of the Armenian-Azerbaijani border.

This is reported by the RA Ministry of Defense.

We report that a service exam has been appointed on the incident.

The Ministry of Defense will be delayed to discovering all circumstances and applying relevant legal consequences.

Let's remind that today a video was shared on the internet that allegedly was shot near Vardenis. The video shows how Azerbaijani soldiers humiliate Armenians.

27 მაისს სომხურენოვანმა ფარვანა ტვ-მ გამოაქვეყნა აზერბაიჯანის მიერ ტყვედ აყვანილი სამხედროების ფოტოები[13], რომლებიც მიწაზე სახედამხობილი წვანან. ტელეკომპანიის ინფორმაციით, აღნიშნული ფოტოები აზერბაიჯანულ მედიებში ვრცელდებოდა.



Парвана Тв
May 27

Ադրբեջանական կայքերը տարածել են գերեվարված հայ զինծառայողների լուսանկարները

Ադրբեջանական կայքերում տարածվել են այսօր Գեղարքունիքի մարզի զորամասերից մեկի պահպանության տարածքում ինժեներական աշխատանքներ իրականացնելիս գերեվարված հայ զինծառայողների լուսանկարները:

Հիշեցնենք, որ ավելի վաղ ՀՀ ՊՆ-ն հայտնել էր, որ մայիսի 27-ի վաղ առավոտյան, Հայաստանի Հանրապետության Գեղարքունիքի մարզի սահմանային հատվածում, ՀՀ ԶՈՒ N զորամասի պահպանության տարածքում ինժեներական աշխատանքներ կատարելիս, ադրբեջանական զինված ուժերի զինծառայողների կողմից շրջափակվել և գերեվարվել է ՀՀ ԶՈՒ վեց զինծառայող:

Ինչպես տեղեկացնում է ՊՆ մամուլի ծառայությունը, ձեռնարկվում են անհրաժեշտ միջոցառումներ՝ գերեվարված զինծառայողներին վերադարձնելու ուղղությամբ:

See Translation

[13] ფარვანა ტვ, 27 მაისი https://www.facebook.com/televidenia/posts/916345998931975

აზრებაიჯანულენოვან მედიებში ძალადობრივი ვიზუალის გამოყენება ძირითადად დმანისში მომხდარი დაპირისპირების გაშუქებისას გვხვდება. 17 მაისს Aqtual.ge-ის მიერ გამოქვეყნებულ 30 წუთიან ვიდეოში[14] დაპირიპირების მონაწილე ეთნიკური აზერბაიჯანელების მიერ კერძო ქონების დაზიანების კადრებია ასახული.




[14] Aqtual.ge, 17 მაისი. https://m.facebook.com/2072581949675052/posts/2922565768009995

# 5. მანიპულაცია სამცხე-ჯავახეთში თურქული ბაზის განთავსების თემით

7 მაისს Javakhk Media-მ ფეისბუქ გვერდზე[15] სომხური ონლაინ გამოცემა hayeli.am-ის ინფორმაცია, სათაურით „თურქული სამხედრო ბაზა ჯავახეთში, ქართული სილა ანკარას და ბაქოს“[16] გააზიარა. მასალაში, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის აზერბაიჯანში ვიზიტს ეხება, ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ საქართველოში თურქეთის პრეზიდენტის სამომავლო ვიზიტისას, შესაძლოა, საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ჯავახეთის რეგიონში თურქული სამხედრო ბაზის განთავსების საკითხი განიხილონ.




სტატიაში, წყაროს დაკონკრეტების გარეშე ნათქვამია, რომ ბოლო დროს საქართველოში თურქული ბაზის მშენებლობის შესახებ გავრცელებული ჭორები სომხურ მედიაში აქტიურად განიხი-

[15] https://www.facebook.com/111026635652359/posts/4004336032988047
[16] hayeli.am, 7 մայիսի, Թուրքական ռազմաբազա Ջավախքո՞ւմ. Անկարայի ու Բաքվի վրացական ապտակը https://hayeli.am/?p=634083&l=am&fbclid=IwAR2HTX5JDziJw2pzIDb4cN6OquyCQ2eySW9kG6MOM913casZB3eSmLIF6Uk

ლება. ასევე საუბარია იმაზე, რომ თურქეთი ჯავახეთში ავიაბაზის მშენებლობისთვის ემზადება, რომელიც აზერბაიჯანის სამხედრო ბაზებზე მოსახვედრად გზას შეამოკლებს. ჟურნალისტი ასევე აღნიშნავს, რომ მსგავსი ჭორები 2020 წელს, სომხეთ-აზერბაიჯანს შორის ომამდე და ომის პერიოდში, რუსულ მედიებზე დაყდნობით ვრცელდებოდა.

სტატიაში არ არის მოყვანილი არცერთი ოფიციალური წყარო, მეტიც ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ ინფორმაციას ოფიციალური წყაროები არც ადასტურებენ და არც უარყოფენ. დაუდასტურებელ ინფორმაციაზე დაყრდნობით მომზადებულ მასალას ჟურნალისტი შემდეგი ციტატით ასრულებს:

> **„ბოლოს და ბოლოს, უნდა გავიგოთ, ოფიციალურად შეიძლება თუ არა საქართველომ სომხებს მსგავსი უსიამოვნო „სიურპრიზი" გაუკეთოს, ისევ თურქეთ-აზერბაიჯანის ტანდემის ინტერესების სასარგებლოდ".**

კონსპირაციებს იმის შესახებ, რომ საქართველოში, კერძოდ კი სამცხე-ჯავახეთში თურქეთის ბაზის განთავსება იგეგმება, სხვადასხვა ანტიდასავლური აქტორები და კრემლთან დაკავშირებული ქართულოვანი მედია[17] წლებია ავრცელებენ და ამ პროცესს საქართველოს ნატოში ინტეგრირების საკითხს უკავშირებენ. მანიპულირება ხდება იმ ფაქტით, რომ თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა და შესაბამისად, საქართველოს ნატოში გაწევრიანება ავტომატურად ქვეყანაში თურქეთის ჯარის განთავსებას ნიშნავს. ამავე დროს, ხდება მანიპულაცია იმ თემით, რომ სამცხე-ჯავახეთში, იქ, სადაც საბჭოთა ჯარი იყო განთავსებული, თურქეთის ჯარის შემოსვლა, ისტორიულ ტრავმებს გააღვივებს და თურქებსა და საქართველოს მოქალაქე ეთნიკურ სომხებს შორის კონფრონტაციას გამოიწვევს[18].

---

17 მითების დეტექტორი, 22 მარტი, 2018. „ვინ სვამს ტოლობის ნიშანს ნატოში ინტეგრაციასა და საქართველოში თურქეთის ჯარების განთავსებას შორის?" http://mythdetector.ge/ka/myth/vin-svams-tolobis-nishans-natoshi-integratsiasa-da-sakartveloshi-turketis-jarebis-gantavsebas

18 ანტიდასავლური პროპაგანდა, 2018, (2019). http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/119

# 6. რუსულენოვანი და ქართულენოვანი პლატფორმების გზავნილები

რუსულენოვან მედიებში (სპუტნიკი – sputnik-georgia.ru და პრესკლუბ ჯეირან მედია – pressunity.org), რომელთა მონაცემები მხოლოდ თვისებრივ ნაწილშია განხილული, გასხვავებული იყო თავად ფეისბუკზე მასალების გამოქვეყნების პრაქტიკა.

## 6.1. SPUTNIK-GEORGIA.RU

თუ ჯეირან მედია, რომელიც რეგიონალური საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალია, ვებზე განთავსებულ ყველა მასალას ფეისბუკითაც ავრცელებდა, სპუტნიკის შემთხვევაში განსხვავებული პრაქტიკა გამოვლინდა. კერძოდ, სპუტნიკი ფეისბუკზე მეტწილად საქართველოში მიმდინარე შიდა პოლიტიკურ, სოციალურ თუ გასართობ თემატიკაზე მომზადებულ სტატიებს აზიარებდა, ვიდრე რეგიონალურ კონფლიქტებზე ან კრემლის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე მომზადებულ პუბლიკაციებს. შესაბამისად, მონიტორინგის თემაზე ფეისბუკში გაზიარებული ვერსიებიდან მხოლოდ დმანისის მოვლენებთან დაკავშირებული გაშუქება მოხვდა, რაც ეთნიკურ ნიადაგზე შიდა დაპირისპირებას შეეხებოდა და მეტ-ნაკლებად ნეიტრალურად იყო გაშუქებული. რეგიონალური თემებიდან სპუტნიკის ფეისბუკ გვერდზე მხოლოდ ისეთი მასალები ზიარდებოდა, რაც აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის საქართველოს სამშვიდობო საშუამავლო მისიას შეეხებოდა[19] და აზერბაიჯან-საქართველოს შორის სადავო ტერიტორიაზე მდებარე დავით გარეჯის მონასტრის საკითხი, რომელიც საქართველოს პრემიერის ირაკლი ღარიბაშვილის ბაქოში ვიზიტის ფარგლებში იყო განხილული[20].

სპუტნიკის რუსული ვერსიის ისეთი მასალები, რომლებიც ერთი მხრივ, კონფლიქტთან და სამხედრო მიმართებით დასავლეთის კრიტიკას შეიცავს („დასავლეთის ქვეყნების სამხედრო-პო-

[19] Sputnik, 13 მაისი, 2021. Тбилиси готов стать площадкой для переговоров между Баку и Ереваном
https://www.facebook.com/479574228862020/posts/1968338159985612
12 ივნისი, 2021 Грузия помогла освободить 15 граждан Армении, задержанных азербайджанской стороной.
https://www.facebook.com/479574228862020/posts/1995459327273495

[20] Sputnik, 5 მაისი, 2021 О чем говорили Гарибашвили и Алиев в Баку?
https://sputnik-georgia.ru/politics/20210505/251653007/O-chem-govorili-Garibashvili-i-Aliev-v-Baku.html
Визит премьера Грузии в Баку станет новым импульсом в отношениях двух стран – посол
https://sputnik-georgia.ru/politics/20210505/251646660/Vizit-premera-Gruzii-v-Baku-stanet-novym-impulsom-v-otnosheniyakh-dvukh-stran---posol.html

ლიტიკური თამაშები პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს“)[21], ხოლო მეორე მხრივ ყარაბაღის კონფლიქტში რუსეთის როლის წამოწევას ცდილობს[22], ფეისბუკზე არ გაზიარებულა.

## 6.2. PRESSUNITY.ORG.

პრეს-კლუბ ჯეირან-მედიას გზავნილები, რომლებიც ძირითადად ექსპერტების მოსაზრების სახით იყო წარმოდგენილი და მეტწილად სათაურებშიც იყო გამოტანილი, ერთი მხრივ, ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში რუსეთის განსაკუთრებულ როლს უსვამდა ხაზს, მეორე მხრივ, თურქეთს მიკერძოებულობაზე და რეგიონში მისი გავლენის გაძლიერების პრობლემურობაზე ამახვილებდა ყურადღებას:

| რუსეთი | თურქეთი |
|---|---|
| ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირება მხოლოდ რუსეთს შეუძლია[23] | თურქეთი მიკერძოებული მხარეა, რუსეთი – ნეიტრალური[27] |
| რუსეთი რეგიონში მთავარ მოთამაშედ რჩება[24] | შუშაზე კონტროლის აღდგენა კავკასიაში თურქეთს პოზიციებს უმყარებს[28] |
| გათავისუფლებულ მიწებზე რუსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობებს ახალი იმპულსი ეძლევა[25] | თურქეთის შეიარაღებული ძალების გამოჩენა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ბაქოს ინტერესებში არ შედის[29] |
| ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარება ახალი სატრანსპორტო და ეკონომიკური კორიდორების გახსნას უზრუნველყოფს[26] | |

გარდა საკუთრივ რუსულენოვანი მედიების ფეისბუკ გვერდებზე გამოქვეყნებული მასალებისა, რეგიონულ კონფლიქტებთან და სადავო ტერიტორიებთან მიმართებით რუსულენოვანი ონლაინ გამოცემა infoteka24.ru-ს პუბლიკაცია, სათაურით „ქართველების სომხებთან დაპირისპირების მცდელობებს უკან თურქეთის და აზერბაიჯანის სპეცსამსახურები დგანან“ (სათაური: “Попытки настроить грузин против армян принадлежат турецким и азербайджанским спецслужбам”) საკუთარ ფეისბუკ გვერდზე 4 მაისს Javakhk Media-მ გააზიარა. მასალა, რომელიც სრულად ეყრდნობოდა კრემლისტური ორგანიზაცია „კავკასიის ისლამური კვლევების ცენტრის“ დირექტორის შოთა აფხაიძის[30] ინტერვიუს, გზავნილებს როგორც ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით, ასევე საქართველოსთან მიმართებითაც შეიცავდა. კერძოდ:

21 Sputnik, 18 მაისი, 2021. Связаны ли учения в Азербайджане и пограничный спор с Арменией? https://sputnik-georgia.ru/columnists/20210518/251752377/Svyazany-li-ucheniya-v-Azerbaydzhane-i-pogranichnyy-spor-s-Armeniey.html
22 Sputnik, 16 მაისი, 2021. Пограничный конфликт в Сюникской области: время вмешаться ОДКБ? https://sputnik-georgia.ru/columnists/20210516/251740120/Pogranichnyy-konflikt-v-Syunikskoy-oblasti-vremya-vmeshatsya-ODKB.html 15 მაისი Конфликт на границе Армении и Азербайджана: к переговорам подключились миротворцы России https://sputnik-georgia.ru/caucasus/20210515/251736045/Konflikt-na-granitse-Armenii-i-Azerbaydzhana-k-peregovoram-podklyuchilis-mirotvortsy-Rossii.html
23 Пресс-клуб Джейран Медиа, 14 მაისი, 2021. https://www.facebook.com/1608182412791087/posts/2983810655228249
24 Пресс-клуб Джейран Медиа, 18 ივნისი, 2021. https://bit.ly/3xxkfZL
25 Пресс-клуб Джейран Медиа,27 მაისი, 2021. https://bit.ly/2VuBzlh
26 Пресс-клуб Джейран Медиа, 11 ივნისი, 2021. https://bit.ly/3jFhkJq
27 Пресс-клуб Джейран Медиа, 14 მაისი, 2021. https://www.facebook.com/1608182412791087/posts/2983810655228249
28 Пресс-клуб Джейран Медиа, 18 ივნისი, 2021. https://bit.ly/3xxkfZL
29 Пресс-клуб Джейран Медиа, 25 მაისი, 2021 https://bit.ly/2VueT4F
30 http://mythdetector.ge/ka/profile/apkhaidze-shota




**სომხეთ-აზერბაიჯანი (ყარაბაღის კონფლიქტი)**

- მილიტარიზაციის გზით ტერიტორიების „დაბრუნება“ აზერბაიჯანის შეცდომაა;
- ყარაბაღის კონფლიქტში გაიმარჯვა აზერბაიჯანმა, რომელმაც საკუთარი ძალების დემონსტრირება მოახდინა;
- რეგიონში მთავარი ძალები რუსეთი, თურქეთი, ირანია;
- რუსმა სამშვიდობოებმა მთიან ყარაბაღში დარჩენილი მოსახლეობა გადაარჩინეს.

**საქართველო**

- ქართველების სომხებთან დაპირისპირების მცდელობებს უკან თურქეთის და აზერბაიჯანის სპეცსამსახურები დგანან;
- არცერთ სომეხს სომხეთიდან და ყარაბაღიდან ქართველების წინააღმდეგ აფხაზეთის კონფლიქტის დროს ბაგრამიანის ბატალიონის[32] შემადგენლობაში არ უომია;
- თურქული და აზერბაიჯანული სპეცსამსახურები ქმნიან ვებ-გვერდებს, რომლებიც ეთნიკური კონფლიქტების განზრახ გაღვივებას ცდილობენ და ამისთვის ბაგრამიანის ბატალიონის თემას იყენებენ;
- აზერბაიჯანელებმა სააკაშვილის მმართველობის დროს საქართველოს საზღვრის დამდგენი კომისია მოისყიდეს, რის გამოც დავით გარეჯის მონასტერი აზერბაიჯანმა მიითვისა.

31 ბაგრამიანის ბატალიონი 1992-93 წლებში აფხაზეთის ომის დროს ჩამოყალიბდა. ბატალიონი, რომელიც ძირითადად გაგრის, გუდაუთისა და ტყვარჩელის ზონაში მცხოვრები სომეხი ახალგაზრდებით იყო დაკომპლექტებული, ომში სეპარატისტების მხარეს იბრძოდა. აღნიშნული შენაერთი საბჭოთა სომეხი მარშლის ივანე ბაგრამიანის სახელს ატარებდა.

## 6.3. კავკაზ პლიუსი და THE CAUCASIAN TELEGRAPH

ქართულენოვანი კავკაზ პლიუსის და The Caucasian Telegraph-ის ფეისბუკ გვერდები მონიტორინგისთვის მათი არმენოფობიური სარედაქციო პოზიციის გამო შეირჩა.

The Caucasian Telegraph-ი, რომელიც სომხების, მათ შორის სომხური დიასპორის საწინააღმდეგო ვიდეო მასალებს[32] ადრე ხშირად აქვეყნებდა, მონიტორინგის პერიოდში ყარაბაღის კონფლიქტისა[33] და საქართველოს კონფლიქტების[34] თემას შედარებით ნეიტრალურად აშუქებდა. რაც შეეხება კავკაზ პლიუსს, გამოცემა არმენოფობიურ პოზიციას მონიტორინგის პერიოდშიც მკაფიოდ გამოხატავდა და სომხების როგორც სეპარატისტების წარმოჩენას ახდენდა:

- საქართველოში მიმდინარე ეთნიკური კონფლიქტებისა და დესტაბილიზაციის უკან „სომეხი პროვიკატორები“ დგანან[35];
- ნამახვანჰესის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას კოორდინაციას სომხეთის კრემლის ლობი უწევს[36];
- სომხეთის „სასნა წრერ“ პარტიის თანამოაზრეები აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის გენოციდს ახორციელებდნენ, ახალი ტერიტორიების მითვისების მიზნით, ისინი სამხრეთ კავკასიის ომის ასპარეზად გადაქცევას აპირებენ[37];
- ძალები, რომლებიც სომხური ლობის წარმოადგენენ, მზად არიან სამხრეთ კავკასიაში ახალი ომი დაიწყონ[38];
- ქოჩარიანის მობრუნება ხელისუფლებაში, რომელიც მხარს უჭერდა სეპარატიზმს სამცხე-ჯავახეთში, საქართველოს დანაწევრებას და „დერეფნების გაყვანას“ როგორც რუსეთის საზღვრამდე, ასევე შავი ზღვისკენ განაპირობებს[39].

ამავე დროს ხაზი ესმებოდა რეგიონში რუსეთის როლს და საფრანგეთი კონფლიქტებში არასაიმედო პარტნიორად იყო წარმოჩენილი.

- რუსოფობიით შეპყრობილ სომეხ ნაციონალისტებს არ ესმით, რომ საკმარისია რუსეთმა უბრალოდ დატოვოს სამხრეთ კავკასია და სომხური ნეონაცისტური სახელმწიფოებრიობა უბრალოდ ლიკვიდირდება[40];

---

32 The Caucasian Telegraph, 6 ნოემბერი, 2020. „სომხური დიასპორა გლობალურ საფრთხედ გადაიქცა, პირველი საფრანგეთი დაეცემა“... https://www.facebook.com/watch/?v=838081653614992

33 The Caucasian Telegraph, 15 მაისი, 2021. ნიკოლ ფაშინიანი რუსეთის პრეზიდენტს სამხედრო დახმარებას სთხოვს. https://www.facebook.com/100907098457590/posts/243347764213522

34 The Caucasian Telegraph, 10 ივნისი, 2021. ამერიკელი სენატორი რობ პორტმანი სამაჩაბლოს ოკუპაციის შესახებ https://www.facebook.com/100907098457590/posts/260020092546289

35 კავკაზ პლიუსი, 25 მაისი, 2021 „ვინ და რატომ ახდენს კონფლიქტების პროვოცირებას საქართველოში?“ https://bit.ly/3fJv9WC

36 კავკაზ პლიუსი, 27 მაისი, 2021. „რუბენ ტატულიანი კონტროლს უწევს აფხაზეთისა და ენგურჰესის ენერგეტიკულ სექტორს, ნამახვანის ჰესის წინააღმდეგ პროტესტის ფონზე“ https://bit.ly/34N7WMT

37 კავკაზ პლიუსი, 8 მაისი, 2021. „ტერორისტი ჟირაირ სეფილიანი: „დერეფანი არ იქნება“. https://bit.ly/3c2uVaP

38 კავკაზ პლიუსი, 31 მაისი, 2021. „მზად არიან თუ არა რუსი სამხედროები დაიხოცონ არცახისთვის?“ https://bit.ly/3cqNDJo

39 კავკაზ პლიუსი, 15 ივნისი, 2021. „ქოჩარიანის რევანში მომაკვდინებელია საქართველოსთვის“ https://ge.kavkazplus.com/news.php?id=38404#.YRI_L9Mza3I

40 კავკაზ პლიუსი, 12 მაისი, 2021. „საკმარისია რუსეთმა უბრალოდ დატოვოს სამხრეთ კავკასია და სომხური ნეონაცისტური სახელმწიფოებრიობა უბრალოდ ლიკვიდირდება“. https://bit.ly/3uAxF5A

- საფრანგეთი არ არის საიმედო მოკავშირე. მისი საგარეო პოლიტიკის არსია „ტერაქტების, დივერსიების და გადატრიალებების ორგანიზებაში დახმარება[41]“.
- ზანგეზურის დერეფანი ნიშნავს ახალი ეპოქის დაწყებას და ძველი გეოპოლიტიკური „თამაშების“ დასრულებას.

[41] კავკაზ პლიუსი, 1 ივნისი, 2021. „ფაშინიანი საფრანგეთში, ღარიბაშვილი თურქეთში. რომელი მოკავშირეა უფრო საიმედო?“ https://bit.ly/3w3m1Sz

# 7. მედია პროფილები

## 7.1 აზერბაიჯანულენოვანი მედია

### Aktual.ge

საინფორმაციო პორტალმა Aktual.ge-მ ფუნქციონირება 2020 წლის 21 აპრილში დაიწყო. მისი დამფუძნებელია „აქტუალ მედია“[42]. გამოცემა ქართულ, აზერბაიჯანულ, თურქულ და ინგლისურ ენებზეა ხელმისაწვდომი.

Aktual.ge-ს ფეისბუკ გვერდს[43] , რომელიც 2019 წლის 15 აგვისტოს დაფუძნდა და Gürcüstanda Biz-ი იწოდებოდა, Aktual.ge 2020 წლის 25 ივნისიდან ჰქვია. ფეისბუკ გვერდს 4 ადმინისტრატორი საქართველოდან, 1 კი აზერბაიჯანიდან მართავს. გვერდს 19,362 გამოწერა და 8,998 მოწონება აქვს, youtube არხს[44] კი – 70 გამომწერი.




[42] https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwIsX3qmYsntmLmFJI53u5CERIBs3zIEmXJLILx4Nhn0kGzkSKsYno]5oIB
[43] ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021. https://www.facebook.com/aktualge
[44] ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021. https://www.youtube.com/channel/UCovBEv8QnpmccF98h6s3Qdg

### Borchalitv

ბორჩალი-ტვ-ის[45] დომეინი 2000 წელს აშშ-ს კალიფორნიის შტატშია რეგისტრირებული. ტელე-კომპანიას საიტზე არ აქვს განთავსებული ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ.

ტელეკომპანიის ფეისბუქ გვერდი 2016 წელს შეიქმნა. გვერდს 12,892 გამოწერა და 9,235 მოწონება აქვს.[46]

### Gündəlik - Gürcüstan

ვებ-გვერდი **gundelik.ge** ამჟამად ხელმისაწვდომი არ არის, თუმცა ფუნქციონირებს Gündəlik – Gürcüstan-ის ფეისბუკ გვერდი[47], რომელიც 2016 წელს არის რეგისტრირებული. თავდაპირველად გვერდის სახელი იყო „საპარლამენტო არჩევნები – 2016“, 2016 წლის 31 ოქტომბერს კი ის Gündəlik – Gürcüstan-ად გადაკეთდა. გვერდი მხოლოდ აზერბაიჯანულ ენაზეა ხელმისაწვდომი.




საიტის რეგისტრაციის მონაცემებში ელმადდინ მამედლის ელექტრონული **მისამართია** მითითე-ბული.

ფეისბუკ გვერდს 24,644 გამოწერა და 16,552 მოწონება აქვს[48].

45 http://borchalitv.wordpress.com
46 ბოლო წვდომა 29 აგვისტო. https://www.facebook.com/borchalitv
47 ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021. https://www.facebook.com/gundelikgurcustan/
48 ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021.

### Marneuli TV

მარნეული ტვ (**www.marneulitv.ge**), როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 2006 წელს დაფუძნდა[49]. ტელევიზია ქვემო ქართლში ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე მაუწყებლობს. არხის გადაცემები ასევე „გლობალ ტვ“-ის, „მაგთის“, სიჯისის და სხვა ტელეოპერატორის მეშვეობით ვრცელდება.

მარნეული ტვ-ს ფეისბუკ გვერდს[50], რომელიც 2013 წელს არის შექმნილი, 30,989 გამოწერა და 17,754 მოწონება აქვს, youtube არხს[51] კი – 1.02K გამომწერი.

### 24news.ge

ახალი ამბების პორტალი 24news.ge 2018 წლის სექტემბერში[52] საქართველოს ლიდერ მედიის[53] მიერ მარნეულში დაფუძნდა. გამოცემა ოთხ ენაზეა (აზერბაიჯანული, ქართული, რუსული, ინგლისური) ხელმისაწვდომი. პორტალს ინტერნეტ ტელევიზიაც აქვს.

გამოცემის ფეისბუკ გვერდს[54], რომელიც 2014 წელს Borçalitv-ის სახელით იყო რეგისტრირებული, 2018 წელს ჯერ Borçalı-24NEWS, ხოლო ამავე წლის დეკემბრიდან 24News.ge დაერქვა. გვერდს 44,271 გამოწერა და 18,940 მოწონება აქვს, ხოლო youtube არხს[55], რომელიც აზერბაიჯანულად მაუწყებლობს 13,2K გამომწერი.




49 https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFC4QniTeGOsuL28nqD06U7hhpOK[wZrlHaCPjldLcuFJ
50 ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021. https://www.facebook.com/MARNEULITV/
51 ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021. https://www.youtube.com/channel/UCQBG29vHcRIA97zlcJb1Llg/featured
52 https://24news.ge/about
53 https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFAn01a40tuqeLZzWs7EzxdGSdGI5vJg6mTflXqg1fluu
54 ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021. https://www.facebook.com/24newsgeofficial/
55 ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021. https://www.youtube.com/channel/UCyCWRCdLmr8JITLhHifk50w

### Radio Bolneli

სამაუწყებლო კომპანია „ბოლნელი“ 1997 წელს დაარსდა. ამ პერიოდიდან 2010 წლის ივლისამდე იგი „ტელე-რადიო კომპანია XII არხი“-ს სახელწოდებით მაუწყებლობდა, ხოლო 2010 წლიდან სამაუწყებლო კომპანია ბოლნელად დარეგისტრირდა .

2015 წელს კომპანიამ რადიო მაუწყებლობის ლიცენზია FM-107,3 დიაპაზონში **(http://bolneli.ge)** მოიპოვა. სხვადასხვა დროს რადიო ახორციელებდა პროექტებს ისეთი ორგანიზაციების მხარდაჭერით, როგორიცაა ეუთო, ღია საზოგადოება საქართველო, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი და სხვა.

რადიოს ფეისბუქ გვერდი 2020 წლის 28 თებერვალს შეიქმნა, მას 105 გამომწერი და 103 მოწონება აქვს.[56]

### Radio Ivrisi

აზერბაიჯანულენოვანი რადიო ივრისი მედიაჰოლდინგ სპექტრის შემადგენლობაში შედის და ამავე ორგანიზაციის დომეინზე[57] ფუნქციონირებს. რადიო „ივრისი“ 2016 წელს, ჟურნალისტთა ასოციაცია „მეცენატის“ პროექტის ფარგლებში, ფონდის – „ღია საზოგადოება – საქართველო“ ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა.

რადიოს ფეისბუქ გევრდი 2017 წლის 2 აპრილს, Ivrisi Fm-ის სახელით შეიქმნა და მალევე სახელი Radio Ivrisi-ად შეიცვალა, გვერდს 1 201 გამოწერა და 1032 მოწონება აქვს.[58]

### Radio Marneuli 96.9 FM

რადიო „მარნეული“ (www.marneulifm.ge) ქვემო ქართლის რეგიონში პირველი სათემო მაუწყებლობაა, რომლის დაფუძნებას BBC World Service Trust-მა, „სტუდია რე-მ“ და ჟურნალისტთა კავშირმა „ხალხის ხმა[59]“ ჩაუყარეს საფუძველი. მართალია, რადიო 2006 წელს შეიქმნა, თუმცა სამაუწყებლო ლიცენზია არხმა მხოლოდ 2015 წელს მოიპოვა.

რადიო „მარნეულის“ ვებ-გვერდზე ინფორმაცია ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზეა ხელმისაწვდომი.

---

56 ბოლო ნახვა 29 აგვისტო https://www.facebook.com/%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-1073-FM-Radio-Bolneli-1073-FM-103997651209394

57 http://radio.speqtri.ge/

58 ბოლო ნახვა 29 აგვისტო https://www.facebook.com/IVRISI

59 https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVIyOwIsX3qmYsntmLmFAtJoAMh]iuToqg7n9uBL58gi8R[PdLt5UzIYieMa[RU

მარნეულის რადიოს ფეისბუკ გვერდს[60], რომელიც 2015 წელს არის რეგისტრირებული, 31,370 გამოწერა და 15,149 მოწონება აქვს, Youtube არხს[61] კი – 2.89K გამომწერი.

### Xeber.ge

Xeber.ge აზერბაიჯანულენოვანი ონლაინ საინფორმაციო პორტალია, რომლის შესახებ ინფორმაცია არც ვებ-გვერდზე, არც ფეისბუკზე მითითებული არ არის. ვების დომენი 2020 წლის აპრილში საქართველოშია რეგისტრირებული, ხოლო ფეისბუქ გვერდი 2020 წლის 2 მაისსა შექმნილი[62]. გვერდს ამ ეტაპზე მხოლოდ 566 გამომწერი და 522 მოწონება აქვს.

### Yeni Yol

**yeniyol.ge** აზერბაიჯანულენოვანი საზოგადოებრივი გაზეთია, რომელიც ონლაინ გამოდის. ვებ-გვერდზე მითითებული ინფორმაციის თანახმად ის 2015 წლიდან ფუნქციონირებს. გაზეთის საიტზე დამფუძნებლად საქართველოს ახალგაზრდების დახმარებისა და საგანმანათლებლო ორგანიზაციაა მითითებული (Georgian Youth Aid and Awareness Organization).

Yeni Yol-ის ფეიბუქ გვერდი 2018 წლის 30 ოქტომბერს არის დარეგისტრირებული. გვერდს 508 გამოწერა და 589 მოწონება აქვს.[63]

## 7.2 სომხურენოვანი მედიები

### Akhalkalaki News

Facebook გვერდი Akhalkalaki News[64] 2020 წლის 31 მარტს შეიქმნა. გვერდზე როგორც სხვა ადგილობრივი მედიის ახალი ამბები, ასევე საქართველოს პარლამენტის ყოფილი დეპუტატის და პარტია „პატრიოტთა ალიანსის" წევრის სამველ პეტროსიანის მიმართვები ვრცელდება. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს გვერდი აქტიურად აზიარებდა პარტია „პატრიოტთა ალიანსთან" დაკავშირებულ მასალებს.

გვერდს 3,746 გამოწერა და 2,464 მოწონება აქვს.[65]

---

60 ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021. https://www.facebook.com/marneulifm
61 ბოლო წვდომაა 29 აგვისტო, 2021. https://www.youtube.com/channel/UChWSDYsfb6islJxGwyJ1pDg
62 ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021 https://www.facebook.com/xeber.ge
63 ბოლო წვდომა 29 აგვისტო https://www.facebook.com/Yeni-Yol-331048807450400
64 ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021 https://www.facebook.com/akhalkalakinews
65 ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021 https://www.facebook.com/akhalkalakinews

## Akhaltskha.net

სამცხე-ჯავახეთის საინფორმაციო საიტი **akhaltskha.net** 2016 წლიდან ფუნქციონირებს. გამოცემა „სამცხე-ჯავახეთის მედია ანალიტიკური ცენტრის“ მიერ არის დაფუძნებული[66].

ვებ-გვერდი ოთხენოვანია და სომხურ, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზეა ხელმისაწვდომი. ფეისბუკ გვერდი News from Javakhk-Akhaltskha.Net[67] 2011 წლის 21 ივლისს არის შექმნილი და მას 3,787 გამომწერი და 3,694 მოწონება აქვს. გვერდს 4 ადმინისტრატორი საქართველოდან, 1 კი სომხეთიდან მართავს.




## Aliq Media

Aliq Media-ს დომენი (Aliq.ge ) 2015 წლის 5 ივნისსაა რეგისტრირებული. მედია საშუალების პარტნიორები არიან „ევროკავშირი საქართველოსთვის“, „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი“, ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ (NED) და Equal Rights & Independent Media (ERIM).

გამოცემის ფეისბუკ გვერდი[68] 2016 წლის 4 მაისს არის შექმნილი და მას 4 ადმინისტრატორი სომხეთიდან, 3 საქართველოდან და 1 ამერიკიდან ჰყავს. გვერდს 1,827 გამოწერა და 1,760 მოწონება აქვს, ხოლო youtube არხს[69] – 1.18K გამოწერა.

66 https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVIyOwIsX3qmYsntmLmFPB1qyKw]vnSWBnRgk5fNyMDk1H[ArvO68o9EzdiXh0W
67 https://www.facebook.com/javakhk.akhaltskha.net
68 ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021. https://www.facebook.com/aliQmedia
69 ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021. https://www.youtube.com/channel/UCuFebSGQcHJhf9SB7oum1ZA




### ATV 12

ტელეკომპანია ATV 12 (**https://bit.ly/3ztIVnL**) ახალქალაქში 2001 წელს დაფუძნდა. YouTube არხზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ტელევიზია 15 წელზე მეტია არსებობს. ATV-12 ახალქალაქის, საქართველოსა და მსოფლიოს ახალ ამბებს სომხურ ენაზე აშუქებს.

ATV-12-ის ფეისბუქ გვერდი 2020 წლის 16 აგვისტოს შეიქმნა. გვერდს 3,676 გამოწერა და 2,925 მოწონება აქვს,[70] ხოლო YouTube არხი 2016 წლის 25 ივლისსაა რეგისტრირებული.[71]

### Javakhk Media

Javakhkmedia.com საინფორმაციო პორტალია, რომლის დომენი 2013 წლის 7 ოქტომბერსაა რეგისტრირებული. ვებ-გვერდზე არ არის განთავსებული საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე მონაცემები მედია საშუალების მფლობელის და სარედაქციო კოლეგიის შესახებ. Akhaltskha.net-ის მთავარ რედაქტორს ედუარდ აივაზიანს Facebook[72] გვერდზე მითითებული აქვს, რომ ის ონლაინ გამოცემა Javakhk Media-ს რედაქტორიც არის. ამ ორი მედია საშუალების შინაარსი ერთმანეთის იდენტურია.

ვებ-გვერდი ოთხენოვანია და სომხურ, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზეა ხელმისაწვდომი.

ფეისბუქ გვერდზე[73], რომელსაც 3299 გამოწერა და 3198 მოწონება აქვს, მითითებულია, რომ გვერდი ჯავახეთის შესახებ ერთიანი საინფორმაციო რესურსია. გამოცემის ფეისბუქ ანგარიში

70 ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021 https://www.facebook.com/atv12akhalkalaki
71 ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021 https://www.youtube.com/c/ATV12Akhalkalaki/channels
72 https://www.facebook.com/eduard.ayvazyan
73 ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021. https://www.facebook.com/Javakhk.Media

2011 წელს არის შექმნილი და მას Javakhk – History Archive ეწოდებოდა. გვერდი Javakhk Media-ს სახელით 2013 წლის 19 დეკემბრიდან ფუნქციონირებს და მას 3 ადმინისტრატორი სომხეთიდან, 1 კი საქართველოდან მართავს.




## Jnews.ge

ჯავახეთის საინფორმაციო ცენტრი (jnews.ge) ფონდის „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „მთავრობის კონტროლი და სამოქალაქო ჩართულობა ჯავახეთში“ ფარგლებში 2014 წლის ოქტომბერს შეიქმნა. მედია გამოცემა ორგანიზაცია „ღია საზღვრების[74]“ მიერ ახალქალაქში არის დაფუძნებული. გამოცემა ძირითადად დასავლური ფონდების მხარდაჭერით ფუნქციონირებს.

Jnews.ge სომხურ, ქართულ და რუსულ ენებზეა ხელმისაწვდომი.

ჯავახეთის საინფორმაციო ცენტრის ფეისბუკ გვერდი[75] 2014 წლის ნოემბერშია რეგისტრირებული და მას 6 ადმინისტრატორი საქართველოდან, ხოლო 2 რუსეთიდან მართავს. ფეისბუკ გვერდს 11,864 გამოწერა და 7,106 მოწონება აქვს, youtube არხს[76] კი – 5.18K გამოწერა.

74 https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVIyOwIsX3qmYsntmLmFIUA3BcfPZWI64ZtQQ7XyEhnRx]jhVpNu4ISOBXiyTKG
75 ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021. https://www.facebook.com/JavakhetiNews
76 ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021. https://www.youtube.com/channel/UCXDkGjkwx6CoxN2BFL1nW8g




ფარვანა ტვ

ტელე-რადიო კომპანია „ფარვანა“ (Парвана Тв **http://parvana.ge/**) კონსტანტინ ვარდანიანმა ნინოწმინდაში 2001 წლის 12 იანვარს დააფუძნა.[77] არხის გადაცემები სომხურ ენაზეა ხელმისაწვდომი.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ანგარიშის[78] თანახმად, ხელისუფლების სათავეში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ კონსტანტინ ვარდანიანი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს. 2013 წლის გაზაფხულიდან 2020 წლის მარტამდე, ვარდანიანი ერთდროულად „ფარვანას“ დირექტორი და ნინოწმინდის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე იყო. 2021 წლის 9 მარტს ვარდანიანმა ტელევიზიაში ხელმძღვანელის პოზიცია დატოვა და კომპანიის დირექტორად მისი მეუღლე, ალბინა ვარდანიანი დაინიშნა.

ფარვანა ტვ-ს ფეისბუქ გვერდი 2017 წლის 5 აგვისტოს შეიქმნა. გვერდს 28,347 გამოწერა და 18,839 მოწონება აქვს,[79] youtube[80] არხს კი – 10.9K.

77 https://transparency.ge/en/blog/tv-station-deputy-chairperson-municipal-council-ninotsminda-wins-tenders-without-competition
78 https://transparency.ge/ge/blog/ninocmindis-sakrebulos-tavmjdomaris-moadgilis-televizia-ninocmindis-municipalitetshi-tenderebs
79 ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021 https://www.facebook.com/televidenia
80 ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021 https://www.youtube.com/channel/UCtsgnN2vBISECmnIngsTNtw

## Radio Nor

სათემო რადიო „ნორის“ (**https://nor.ge/**) ინტერნეტ-პორტალი საქართველოში 2012 წლის 5 სექტემბერსაა რეგისტრირებული. რადიო სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში სიხშირეზე FM 100.1 მაუწყებლობს. რადიოს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის დეკემბრიდან ნინოწმინდის სათემო რადიო სამცხე-ჯავახეთსა და საქართველოში  პირველი ლიცენზირებული სათემო მაუწყებელი გახდა. ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია ორ – სომხურ და რუსულ ენაზეა ხელმისაწვდომი. რადიოს დონორები არიან ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“ და ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის (NED).

რადიო ნორი სომხურ და რუსულ ენებზეა ხელმისაწვდომი.

რადიო ნორის ფეისბუქ გვერდი 2012 წლის 20 სექტემბერს შეიქმნა, მას 13 ადმინისტრატორი საქართველოდან, ხოლო 1 სომხეთიდან მართავს. გვერდს 17,428 გამოწერა და 8,709 მოწონება აქვს,[81] youtube[82] არხს კი – 10.5K.




## Sknews.ge

სამცხე-ჯავახეთის საინფორმაციო პორტალი sknews.ge (სამხრეთის კარიბჭე) გაზეთ „სამხრეთ კარიბჭის“ ბაზაზე შეიქმნა. გაზეთი 2004-2017 წლებში ქართულ და სომხურ ენებზე გამოიცემოდა. გამოცემის ონლაინ ვერსია 2010 წლიდან ფუნქციონირებს, რადიო კი – 2016 წლიდან. მედია საშუალების დონორები არიან: ღია საზოგადოების ფონდი, ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის, „დოიჩე ველეს“ აკადემია (DW Akademie).

---

[81] ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021 https://www.facebook.com/radiotvnor

[82] ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021 https://www.youtube.com/c/radionorGeorgia

Sknews.ge ქართულ და სომხურ ენებზეა ხელმისაწვდომი, ხოლო გამოცემის სომხურენოვანი Facebook-გვერდი (Հարավային Դարպաս) 2020 წლის 9 იანვარსაა შექმნილი. Sknews.ge-ს ფეისბუქ გვერდის ნაცვალდ პროფილი აქვს შექმნილი, რომელსაც 4,981 მეგობარი ჰყავს.[83]

### TV9news.ge

ტელეკომპანია „მე-9 არხი" (TV9news.ge) , რომლის იურიდიული სახელწოდება შპს „იმპერიაა"[84], 1998 წლიდან მაუწყებლობს. არხის მაუწყებლობა ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებში მეექვსე ციფრული მაუწყებლობის საშუალებით ვრცელდება.

მე-9 არხის ვებ-გვერდი ქართულ და სომხურ ენებზეა ხელმისაწვდომი.

არხის ფეისბუკ გვერდს[85] 34,434 გამოწერა და 25,940 მოწონება აქვს, youtube არხს[86] კი – 12.1K გამოწერა.

## 7.3 რუსულენოვანი მედიები

### Press Club Jeiran Media

Press Club Jeiran Media-ს (pressunity.org) ვებ-გვერდზე მითითებული აქვს, რომ 2016 წლიდან ფუნქციონირებს. ჩვენს შესახებ განყოფილებაში მითითებულია, რომ მიუხედავად სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული წინააღმდეგობებისა, ვებ-გვერდი ცდილობს იყოს ობიექტური და მიმდინარე მოვლენების შესახებ თავისი პლატფორმა ნებისმიერი შეხედულების ექსპერტსა და ჟურნალისტს დაუთმოს. ვებ-გვერდი აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ამბებს რუსული ენის გარდა, მათსავე ენებზე აშუქებს.

სხვა ინფორმაცია, მათ შორის გამომცემლისა და რედაქტორის შესახებ, ვებზე ხელმისაწვდომი არ არის. ჯეირან მედიას IP მისამართი[87] სანკტ-პეტერბურგში 2020 წლის 12 აგვისტოსაა რეგისტრირებული, თუმცა რეგისტრაციის მფლობელის ვინაობა დაფარულია.

Press Club Jeiran Media-ის ფეისუქ გვერდი[88] 2015 წლის მაისში სახელწოდებით პრეს-კლუბი თანამეგობრობა შეიქმნა და სახელი 2021 წლის იანვარში პრეს კლუბ ჯეირან მედიით შეიცვალა.

83 ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021 https://www.facebook.com/profile.php?id=100061579884817
84 https://drive.google.com/file/d/1lOF-erQITipr0fv1V3AjH1hm9eSUSyS2/view
85 ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021. https://www.facebook.com/tv9news.ge
86 ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021. https://www.youtube.com/channel/UCilYSWvrayKsAS2GPdyiFmQ
87 https://whois.domaintools.com/pressunity.org
88 https://www.facebook.com/pressunity

ფეისბუქ გვერდს სამი ადმინისტრატორი ჰყავს, რომელთაგან ერთი აზერბაიჯანში, ერთი სომხეთში, ხოლო ერთი რუსეთშია. გვერდს 6,263 გამოწერა და 5,847 მოწონება აქვს.[89]




## სპუტნიკ-საქართველო

შპს „სპუტნიკ ჯორჯია" (https://sputnik-georgia.ru/) საქართველოში საჯარო რეესტრში ოფიციალურად 2015 წლის 23 იანვარს დარეგისტრირდა. სპუტნიკი მულტიმედიური საერთაშორისო პროექტია, რომელიც რუსეთის პრეზიდენტის 2013 წლის 9 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა. სპუტნიკმა, რომელსაც რუსეთის მთავრობა ფლობს, საერთაშორისო არენაზე საინფორმაციო სააგენტო RIA Novosti და „რუსეთის ხმა" ჩაანაცვლა.

შპს „სპუტნიკ-ჯორჯიას" 100%-იანი წილის მფლობელი ანტონ (ტატო) ლასხიშვილია, რომელიც 1991 წლიდან გაზეთ „სვაბოდნაია გრუზიას" ხელმძღვანელია.

89 ბოლო წვდომა 29 აგვისტო, https://www.facebook.com/pressunity

რუსულენოვანი სპუტნიკ-საქართველოს ფეისბუქ გვერდი 2017 წლის 7 მაისს შეიქმნა და მისი 9 ადმინისტრატორიდან 5 რუსეთში, ხოლო 4 საქართველოშია. გვერდს 64,842 გამოწერა და 57,104 მოწონება აქვს[90].

## 7.4 ქართულენოვანი მედიები

### კავკაზ პლიუსი

ონლაინ გამოცემა კავკაზ პლიუსის ვებ-გვერდზე (ge.kavkazplus.com) ინფორმაცია „კავკაზ პლიუსის“ რედაქციის შესახებ მითითებული არ არის, ხოლო სტატიები ანონიმურად, ავტორის გვარის გარეშე ქვეყნდება. ვებ-გვერდის დომეინების **გადამოწმებისას** ვიგებთ, რომ საიტი kavkazplus.com 2015 წელს დარეგისტრირდა. ამჟამად საიტის IP მისამართი კალიფორნიაშია რეგისტრირებული, ოფიციალურ სახელწოდებად – kavkazplus.com – новости Грузии.

ონლაინგამოცემა „კავკაზ პლიუსი“ (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე ხშირად აქვეყნებს ეთნიკური სომხების საწინააღმდეგო, ქსენოფობიური კონტექსტის და დისკრიმინაციული შინაარსის მასალებს. გამოცემა ხშირად წერს აფხაზეთში სომხების მიერ ჩადენილი დანაშაულებისა და ჯავახეთში სომხური სეპარტიზმის გაძლიერების შესახებ.

კავკაზ პლიუსის ფეისბუქ გვერდი 2016 წლის 6 მაისს შეიქმნა. გვერდს 1,170 გამოწერა და 1,140 მოწონება აქვს.[91]

### The Caucasian Telegraph

ქართულენოვანი ფეისბუქ გვერდი The Caucasian Telegraph 2020 წლის 2 ოქტომბერს შეიქმნა. ყოველდღიური სიახლეების გარდა, გვერდი ხშირად აქვეყნებს სომხების, განსაკუთრებით კი სომხური დიასპორის წინააღმდეგ მიმართულ ვიდეოებს. სხვადასხვა დროს „კავკასიური ტელეგრაფი“ აქვეყნებდა ვიდეოებს სათაურებით „სომხური დიასპორის რევანშიზმის ისტერიული ქადაგება“, „რუსეთის სომხური დიასპორის ავადმყოფი გეგმები: ახალი ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის მიმართ“, „სომხური დიასპორა გლობალურ საფრთხედ გადაიქცა, პირველი საფრანგეთი დაეცემა...“ და სხვა.

გვერდს 5,229 გამოწერა და 3,196 მოწონება აქვს.[92]

---

90 ბოლო წვდომა 29 აგვისტო https://www.facebook.com/SputnikGeorgiaRu/

91 ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021 https://www.facebook.com/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%99%E1%83%90%E1%83%96-%E1%83%9E%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98-1675642542697030

92 ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021 https://www.facebook.com/TheCaucasianTelegraph

WWW.MDFGEORGIA.GE
WWW.INTERNEWS.GE